

თსუ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება



18 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ახალ სტუდენტურ თვითმმართველობას აირჩევენ. თსუ-ში ამოქმედდა დროებითი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც დავით ჯიქია ხელმძღვანელობს. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს დარეგისტრირება 9 მაისის ჩათვლით შეუძლიათ.

წელს სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო განაწესში მცირე ცვლილებები შევიდა. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, პირველი და მეორე კურსიდან 7-7 სტუდენტი აირჩევა, მესამე და მეოთხე კურსიდან კი მხოლოდ 3-3. ამ ცვლილებების მიზნად დამატებით უკვე პირველი და მეორე კურსის სტუდენტები მოუცვლელობას ასახელებენ. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის გიორგი შამათავას განცხადებით, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები შედარებით მეტ დროს სწავლასა და პროფესიულ პრაქტიკას უთმობენ, რის გამოც თვითმმართველობაში დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად ვეღარ ართმევენ. მისივე თქმით, სტუდენტურ თვითმმართველობაში საკუთარ ფუნქციებს გაცილებით უკეთ პირველი და მეორე კურსის სტუდენტები ასრულებენ. სწორედ ამიტომ, თვითმმართველობის არჩევნებში I და II კურსის სტუდენტების მონაწილეობაზე გაიზარდა მოთხოვნილება. უცვლელი რჩება ფაკულტეტებიდან თვითმმართველობაში წარსადგენი სტუდენტების საერთო რაოდენობა, ანუ საუბარია თითო ფაკულტეტიდან 20 დელე-

გატზე. რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევას, მას არჩევნებში გამარჯვებული სტუდენტი ორგანიზაცია გამოავლენს. ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ ღონისძიებათა გრაფიკი, სადაც დეტალურად არის განერილი — სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა როდის რა ქმედება უნდა განახორციელოს. ეს ინფორმაცია გამოკრულია თსუ-ის ყველა მოქმედ კორპუსში, განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც. კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადაა 9 მაისი. ვინმეს პრობლემა რომ არ შეექმნას, ჩვენ შაბათ-კვირას ჩვეულებრივ რეჟიმში ვიმუშავებთ”, — განაცხადა თსუ-ის დროებითი ცენტრალური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა დავით ჯიქიამ. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში გასამარჯვებლად „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“ და სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი ბორის ჩოფლიანის ხელმძღვანელობით იბრძობებს. სტუდენტურ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ კანდი-

მძღვანელმა ბორის ჩოფლიანმა. „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“ სტუდენტებს საკუთარ პროგრამას აფიშებისა და სარეკლამო ბროშურების საშუალებით გაცნობს. ბროშურებში დაიბეჭდება ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული ყველა პროექტისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, ამ ორი წლის მანძილზე დაწყებული ყველა პროექტი გაგრძელდება სპორტის, კულტურის, განათლების თუ მეცნიერების მიმართულებით. ახლა ვატარებთ ტურნირებს ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ქუჩის კალათბურთში, ბილიარდში, ლაზერლენდში. მომავალში კიდევ დავატარებთ შეჯიბრებებს სპორტის სხვა სახეობებში, ვგეგმავთ ჩოგბურთის ტურნირის ჩატარებასაც. გვინდა, უფრო მეტი იმიტირებული პროცესი გაეშარათოთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რაც მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ნაწილობრივ ვაფინანსებთ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს. მათი მთლიანად დაფინანსება არ შეგვიძლია, რადგან, ამ შემთხვევაში, ყველა მათგანის დაკმაყოფილებას ვერ შევძლებთ. რამდენიმე წლის წინ თსუ-ში ექსკურსიებზე წასვლა სტუდენტებისთვის ფასიანი იყო, ჩვენ გავზარდეთ დაფინანსება და დღეს იგი სრულიად უფასოა.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, სპეციალურად დაბეჭდილი ბროშურების საშუალებით, სტუდენტებს უფრო კონკრეტულად შევატყულებთ — გამარჯვების შემთხვევაში კიდევ რის გაკეთებას ვგეგმავთ”, — განაცხადა „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ ხელმძღვანელმა გიორგი შამათავამ.

19 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებზე ხმის მიცემის პროცედურას დამკვირვებლები დაესწრებიან. ამ ფუნქციას არჩევნებში მონაწილე სტუდენტური მოძრაობების წევრები და, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეითავსებენ. რაც შეეხება წინა საარჩევნო საინფორმაციო კამპანიას, იგი თსუ-ის სტუდენტურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ დაიწყო.

სტუდენტური თვითმმართველობის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა დაეხმოს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა დაეხმოს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა დაეხმოს

სტუდენტური თვითმმართველობის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა დაეხმოს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის დასრულების შემდეგ სტუდენტებს უნდა დაეხმოს



ელ-ფოსტა თსუ-ის ყველა სტუდენტს

ამოქმედდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები

ცხელი ხაზი — 42 22 20

გვ. 2 გვერდი

ევროპის ნამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები იურიდიულ ფაკულტეტზე

გვ. 3 გვერდი

პრეზიდენტის სამეცნიერო ბრანტი თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერებს

გვ. 4 გვერდი

ქართული ენის სწავლების ერთწლიანი პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

გვ. 5 გვერდი

პრობლემა დაფუძნებული სწავლება უნივერსიტეტში

გვ. 6 გვერდი


ჰუმანიტარების არჩეული დეკანი

გვ. 6 გვერდი

აგზები

გვ. 10-11 გვ.

ელ-ფოსტა თსუ-ის ყველა სტუდენტს



განათლების სფეროში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება. სასწავლო პროცესის ახლებური მართვა კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე უკვე წარმოუდგენელია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ მიმართულებით პერმანენტული ცვლილებები ხორციელდება.

ამიერიდან თსუ-ის ნებისმიერი სტუ-

დენტი (ბაკალავრი და მაგისტრანტი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას საკუთარ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს, — ამაზე უკვე იზრუნეს თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტმა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრმა.

სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის რუსუდან ჩიქოვანის ინფორმაციით, სტუდენტებისათვის ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის შექმნა 2009-2010 სასწავლო წლიდან დაიწყო. ელექტრონული ფოსტა თავდაპირველად პირველ კურსელებისთვის გაკეთდა, ამჟამად კი ეს პროცესი დასრულებულია და უკვე ფაკულტეტების დახმარებით საკუთარი „იმილით“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ისარგებლებს.

„სტუდენტებისთვის ელექტრონული ფოსტის შექმნის პროცესი დასრულდა და მალე ნებისმიერ მათგანს საშუალება ექნება ამ გზით მიიღოს მათთვის საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, საუბარია სასწავლო პროცესის ვადებზე, ახალი წესების, რე-

გულაციების, ინსტრუქციების შესახებ და ასე შემდეგ. მართალია, იგივე ინფორმაცია თსუ-ის ვებ-გვერდზეც არის განთავსებული, გზამკვლევიც იბეჭდება, მაგრამ რატომღაც ზოგიერთი სტუდენტი არ ეცნობა ამ სახით მიწოდებულ ინფორმაციას. ჩვენ გადავუზავნეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს სტუდენტების სიები და მალე ყველა სტუდენტს მიენიჭება ინფორმაცია, რომ მათ საკუთარი ელექტრონული ფოსტა აქვთ“, — განაცხადა რუსუდან ჩიქოვანმა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელის არჩილ ელიზბარაშვილის ინფორმაციით, სტუდენტთა ელექტრონული ფოსტის სერვისი შეიქმნა ცნობილი საძიებო სისტემა google-ის ელექტრონული ფოსტის სერვისის საფუძველზე.

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, ელექტრონული ფოსტის შექმნის პროცედურა დაახლოებით 17 ათასი სტუდენტისათვის უფასოდ შესრულდა. ახლადშექმნილი ელექტრონული ფოსტის სერვისის უპირატესობას

საფოსტო ყუთის ზომის საკმაოდ დიდი მოცულობა (7 გიგაბაიტი) წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე, ელექტრონული ფოსტის პრაქტიკულად ნებისმიერი მოცულობის ინფორმაციის მიღება, გაგზავნა და შენახვა შეუძლია.

„სტუდენტებს საშუალება ექნებათ, დიდი ხნის მანძილზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარ იმილზე შეინახონ“, — განაცხადა არჩილ ელიზბარაშვილმა.

სტუდენტების იმილების მომხმარებლების სახეობი და შესაბამისი ინდივიდუალური პაროლები უკვე გადაეგზავნა თსუ-ის ყველა ფაკულტეტს, რომლის შესახებაც ინფორმაციას სტუდენტები თავიანთი ფაკულტეტების სამდივნოებში მიიღებენ. არჩილ ელიზბარაშვილის თქმით, ამ ინფორმაციის გავრცელებაზე სასწავლო დეპარტამენტთან და საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრთან ერთად საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიც ზრუნავს, რათა სტუდენტებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია ახალი სერვისის შესახებ.

ამოქმედდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრები

26 აპრილიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე სტუდენტთა მომსახურების ცენტრები ამოქმედდება. მათი ფუნქციები ზუსტადაა განვლილი და სტუდენტთათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საინფორმაციო მომსახურების განვას მოიცავს.

მომსახურების ცენტრის ფუნქციებში შედის სტუდენტების კითხვებზე პასუხის გაცემა პირადად, ტელეფონით და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სტუდენტებს აღარ მოუწევთ ერთი თანამშრომლიდან მეორესთან სიარული ინდივიდუალური პრობლემების მოსაგვარებლად. ცენტრის თანამშრომელი თავად გაარკვევს სტუდენტისთვის საინფორმაციო კონკრეტულ საკითხს და მიანვდის მას ინფორმაციას.

სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების შესახებ ცენტრი სტუდენტებისაგან მიღებულ ინფორმაციას მიანვდის ფაკულტეტისა და ცენტრალურ ადმინისტრაციას. მასვე ევალება სტუდენტების საინფორმაციო ბაზის შემუშავება და მისი სისტემატური განახლება, სტუდენტებთან კომუნიკაცია სასწავლო პროცესის ვადების, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების შესახებ.

სტუდენტებს აღნიშნულ ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად გაუადვილ-

დებათ ცხრილში არსებული პრობლემები, კრედიტების აღებისა და სასწავლო კურსზე რეგისტრაციის საკითხების მოგვარება. ამავ ცენტრებში მოხდება სტუდენტებისთვის ცნობების (ფორმა 20) და მათი წერილების პასუხად მომზადებული დოკუმენტების გაცემა, ასევე სტუდენტთა ინფორმირება მათი მოთხოვნით დამზადებული ცნობებისა და დოკუმენტების მზაობის შესახებ.

როგორც თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან ჩიქოვანმა განაცხადა, ამგვარი ცენტრის ჩამოყალიბება გადამწყდა იმის გამო, რომ სათანადო კვლევის ჩატარების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდების პრობლემა. „სტუდენტები ხშირად ერთსა და იმავე კითხვაზე განსხვავებულ პასუხებს იღებდნენ, რაც გაუგებრობას იწვევდა. ასევე, მათ არ იცოდნენ ვისთვის მიემართათ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად ან პასუხის მისაღებად. ამის გამო გადამწყდა სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბება. სამსახურის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით ფაკულტეტებზე სხვა დატვირთვებისგან გამოთავისუფლდა 2-2 თანამშრომელი, რომლებსაც სპეციალური ტრენინგი ჩაუტარდათ. ისინი უშუალოდ სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურე-

ბაზე იქნებიან პასუხისმგებელნი. სტუდენტები მიიღებენ ამომწურავ პასუხს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს პრობლემა ექნება მხოლოდ მისი პირადი საქმიდან

გამომდინარე, ცენტრის თანამშრომლები გაარკვევენ, რა პასუხი უნდა გაეცეს მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში და სტუდენტს შესაბამის პასუხს უმოკლეს ვადაში აცნობებენ.“ — განაცხადა რუსუდან ჩიქოვანმა.



ცხელი ხაზი — 42 22 20



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხელი ხაზი ამოქმედდა. თითქმის ერთი თვეა, თსუ-ის სტუდენტებს შეუძლიათ, მიმართონ ადმინისტრაციას პრეტენზიითა და შენიშვნებით, თუ ფიქრობენ, რომ მათი უფლებები დაირღვა, უყუარადღებოდ დარჩა მათი მოთხოვნა ან არაკვალიფიციური და მომსახურენ. 42 22 20 – ეს თსუ-ის ცხელი ხაზის ნომერია, რომელსაც სასწავლო დეპარტამენტის თანამშრომლები პასუხობენ.

ცხელი ხაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის უფრო ეფექტური და მობილიზებული მუშაობის მიზნით შეიქმნა. სტუდენტი გამოთქვამს მოსაზრებას, თსუ-ის ადმინისტრაციას ანვდის ინფორმაციას სტუდენტთა მომსახურების სფეროში

შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული კი საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას იმუშაოს არსებული დარღვევების აღმოფხვრის მიმართულებით. ცხელი ხაზი კი ახალგაზრდებს საშუალებას მისცემთ პრობლემატურ კითხვებზე პასუხები კომპეტენტური ადამიანისგან დროულად მიიღონ.

„ეფექტობ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი უნივერსიტეტისთვის ცხელი ხაზის ამოქმედება ბევრად ეფექტური ხერხი გამოდგა. სტუდენტს საშუალება ეძლევა შენიშვნებით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, გამოთქვას პრეტენზია სასწავლო პროცესის მართვაში არსებულ შესაძლო ხარვეზებთან დაკავშირებით. სტუდენტს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მის მიერ მო-

წოდებულ პრობლემებზე იმსჯელებენ და შესაბამის რეაგირებას მოახდენენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ყველაზე შესაძლებელი ადგილზე, ცხელი ხაზის ნომერი წერია. მთელი კვირის განმავლობაში, ყოველ სამუშაო დღეს, ჩვენი თანამშრომლები ტელეფონთან მორიგეობენ. სტუდენტებს სასწავლო დეპარტამენტის ის სპეციალისტები პასუხობენ, რომლებიც საფუძვლიანად ფლობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას.

სტუდენტები ინტენსიურად რეკავენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი გვენდობიან და სურთ ჩვენთან თანამშრომლობა, ერთად გამოვასწოროთ სტუდენტთა მომსახურების სფეროში არსებული ხარვეზები“, — გვითხრა

სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მაკა ხოდელმა.

ცხელი ხაზის შექმნის აუცილებლობა უნივერსიტეტში არსებული ვითარებიდან გამომდინარე გაჩნდა. ჩატარდა გამოკითხვა, რის მიხედვითაც სტუდენტებმა ინფორმაციის მიღების და ადმინისტრაციისთვის „ხმის მიწოდების“ საუკეთესო საშუალებად სატელეფონო კავშირი დაასახელეს. თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტში ფიქრობენ, რომ ცხელი ხაზის შექმნის შემდეგ სტუდენტური პრობლემების გადაჭრის მეტი შანსი გაჩნდა. ცხელი ხაზის მიზანიც ეს არის, მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ სტუდენტთა პრეტენზიები, რათა უკეთ მოვემსახუროთ მათ. მაშასადამე, „უნივერსიტეტის ცხელი ხაზი გისმენთ!“

რატომ პირჩევთ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამებს?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრანტობის მსურველებს ტრადიციულად მრავალფეროვან სამაგისტრო პროგრამებს სთავაზობს. სწავლების მაღალი დონე, ბიბლიოთეკებისა და რესურს-ცენტრების რაოდენობა, პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობისთვის შექმნილი პირობები, უცხოეთთან მჭიდრო კონტაქტები და წარმატებულ ევროპულ უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამები ბევრ ახალგაზრდას უღვიძებს სურვილს — სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი გახდეს და მომავალი პროფესიული კარიერისთვის ძლიერი ბაზისი შეიქმნას. ამას ადასტურებს თსუ-ის საგამოცდო ცენტრის მომსახურებელი, რომლის მიხედვითაც ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების მსურველთაგან უმეტესობა აფიქსირებს სურვილს — სწავლა განაგრძოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სამაგისტრო პროგრამებზე.

მაია ტორაძე

2010 წლისთვის თსუ-ის მაგისტრატურა მსურველებს 91 სამაგისტრო პროგრამაზე იწვევს. მათგან 7 პროგრამა ინგლისურენოვანია: ეკონომიკა (თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა), ტურიზმი (თსუ-ის ტურიზმის საერთაშორისო სკოლა, პარტნიორი: თესლონიკის ალექსანდრეს სახელობის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, საბერძნეთი), საჯარო მმართველობა (ინტერაქტუალური კურსი; პარტნიორი შპაიერის საჯარო მმართველობის უნივერსიტეტი, გერმანია), ევროპის ცენტრი (თსუ-ის ევროპული კვლევების ცენტრი, პარტნიორები: ვერობილის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ინსბრუკის უნივერსიტეტი (ავსტრია), პანდოს უნივერსიტეტი (საბერძნეთი)), გენდერი (თსუ-ის სოციალურ კვლევათა ცენტრი), ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში (თსუ-ის სოციალურ კვლევათა ცენტრი), სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია (ტემპუსის პროექტი, პარტნიორი ვესტმისტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი).

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგიის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე წელს პირველად გამოცხადდა მიღება, პროგრამას ხელმძღვანელობენ ვესტმისტერის უნივერსიტეტის პროფესორი ნინო ფორაქიშვილი და თსუ-ის პროფესორი ნინა კულიკოვა. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ამ ორი უნივერსიტეტის ერთობლივ დიპლომს მიიღებს.

ასევე პირველად ცხადდება მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიდევ 12 სამაგისტრო პროგრამაზე. ესენია: ასტრობიოლოგია (ხელმძღვანელები: პროფ. ნუგზარ ალექსიძე, პროფ. შალვა საბაშვილი); შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია (ხელ-ლები: პროფ. ზაზა ალექსიძე, ასოც. პროფ. ანა ხარანაული) სლავისტიკა (ხელ-ლები: პროფ. დავით გოცირიძე, პროფ. მარიამ ფილინა, ასოც. პროფ. მარინა ალექსიძე), ზოგადი ფონეტიკა-ფონოლოგია (ხელ-ლი: პროფ. ნათელა ქუთელია), ენა და ლექსიკოგრაფია (ხელ-ლი: პროფ. მაია ლამბაძიძე), თურქოლოგია (ხელ-ლი: პროფ. მარია ჯიქია), განწყობის ფსიქოლოგია, კვლევა და კონსულტირება (კოორდინატორი ასოც. პროფ. დიმიტრი ნადირაშვილი, ხელ-ლი: ასოც. პროფ. გიორგი ყიფიანი), პოლიტიკური თეორია (ხელ-ლები: ასოც. პროფ. გია ჟორჟოლიანი, ასოც. პროფ. მამუკა ბიჭაშვილი), გენდერის კვლევა (ხელ-ლები: ასოც. პროფ. თამარ ცხადაძე, რათგერის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოანა რეგულსკა, კოორდინატორი, პროფ. მარინა ჩიტაშვილი), ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამები მთლიანად შეესაბამება სწავლების ევროპულ დონეს. მაგისტრის ხარისხის მიღების შემთხვევაში ახალგაზრდას პირველი წარმატებული ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვს პროფესიულ კარიერაში.

გარდა სამაგისტრო პროგრამებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტობის მსურველებსთვის სიახლეა ისიც, რომ მათ შეეძლებათ სამაგისტრო პროგრამებზე რეგისტრაცია გაიარონ ადგილზე და ონლაინ

რეჟიმში. ასევე, პირველად საქართველოში, მაგისტრატურის აბიტურიენტებს უნივერსიტეტი საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებლად უფასო კონსულტაციებს უწევს. თითქმის ერთი თვეა, რაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე უნივერსიტეტის პროფესორები ცოდნის რაციონალიზაციაში ეხმარებიან მსურველებს.

ინტერესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებისადმი ცხელ ხაზზეც ფიქსირდება. აბიტურიენტების უმრავლესობა ინტერესდება, შეუძლიათ თუ არა ჩააბარონ სასურველ სამაგისტრო პროგრამაზე მაშინ, თუ ბაკალავრის ხარისხი სხვა სპეციალობაში აქვთ მიღებული.

„ამ კითხვაზე ერთი პასუხი არსებობს — ყველა სამაგისტრო პროგრამას დართული აქვს წინაპირობა, სადაც მითითებულია, ეზღუდება თუ არა აბიტურიენტს რომელიმე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების უფლება. ძირითადად ცხელ ხაზზე შემოსულ კითხვებში აინტერესებთ იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩაბარების წინაპირობა. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის საჭიროა ბაკალავრის ხარისხიც ამ სპეციალობაში ჰქონდეთ მინიჭებული“, — განაცხადა თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან ჩიქოვანამ.

მაინც რატომ უნდა ჩააბაროს ახალგაზრდამ უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე? — ამ კითხვაზე თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ანასტასია ზაქარიაძეს კონკრეტული პასუხი აქვს: იმიტომ, რომ უნივერსიტეტი არის ქართული კულტურისა და განათლების კერა, რომელიც ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად ყოველწლიურად ამდიდრებს სასწავლო პროგრამებს უახლესი სამაგისტრო პროგრამებით.

„შემთხვევითი არაა ის, რომ ეროვნული გამოცდების ცენტრის მონაცემებით, აბიტურიენტთა მიერ შევსებულ ანკეტებში უმრავლესობას

პირველ ნომრად სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს შემოხაზული. ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ლიდერია, რომ საზოგადოება ენდობა განათლების საუკუნოვან კერას. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სწავლისა და სწავლების ტექნოლოგიები, ბაზარზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები და კლასიკური განათლების ტრადიცია, რაც დღეს ყველაზე ძვირად ღირებული და დასაფასებელია მთელს მსოფლიოში“, — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში.

10 მაისს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის რეგისტრაცია დასრულდება. აბიტურიენტებს ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ექნებათ საშუალება სასურველი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა აირჩიონ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დარწმუნებული არიან, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამა ამოწმდება, რადგან ამისთვის არსებობს ბაზა, თანამედროვე სასწავლო პროგრამები და დასაქმების საუკეთესო პერსპექტივა.



ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები იურიდიულ ფაკულტეტზე

დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ უნივერსალური განათლების მისაღებად და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისთვის აუცილებელია ევროპული უმაღლესი განათლების მიღება. განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ინტერნაციონალიზაციის პროცესი აქტიურად დაიწყო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ კუთხით ბევრი რამ შეიცვალა. სასწავლო პროცესის ინოვაციური მეთოდების დანერგვაში, შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი ლიდერია. 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით ფაკულტეტზე ლექციების კურსს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები წაიკითხავენ.

შურისია ბაროშვილი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის ინიციატივით, ამ სემესტრში ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს უცხოელი პროფესორები ლექციათა ინტენსიურ კურსებს წაუკითხავენ. ძირითადად ეს იქნება ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი საგნები.

„თანამედროვე ეპოქაში იურისტისთვის ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა აუცილებელია. უცხო ენა არის საშუალება იმისა, რომ იურისტმა სანადელ შედეგს მიიღოს, როგორც სამეცნიერო სფეროში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. დღეს, ბუნებრივია, მეცნიერულ აკადემიურ ნაშრომს ვერ დანერ, თუ უცხო ენას სათანადოდ არ ვლობ. ეს ეხება არა მარტო მეცნიერს, ასევე, პრაქტიკოს იურისტს“, — აღნიშნა ირაკლი ბურდული.

მისი ინიციატივით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე ამ სემესტრიდან დაიწყო იურიდიული ინგლისური და იურიდიული გერმანული „საერთო სამართლის საფუძვლების“ კურსის სწავლება, რომელსაც ქართველ პედაგოგთან ერთად უცხოელი კოლეგებიც წაიკითხავენ. აღსანიშნავია, რომ უკვე დამ-



თავრდა საერთაშორისო ინტელექტუალურ სამართალში ინტენსიური კურსი, რომელსაც მაკგოლის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორი ეკატერინე დოლირინა კითხულობდა.

ამჟამად ლექციებს კითხულობს ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ გილესი. იგი მთელ ევროპაში ცნობილია როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და შედარებით სამართლის სპეციალისტი. საგულისხმოა, რომ მისი ერთ-ერთი ნაშრომი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ფორმალში“ გამოქვეყნდა. პიტერ გილესი ინგლისურად წაიკითხავს ლექციების ინტენსიურ კურსს: „სამოქალაქო საპროცესო დავების ალტერნატიული მოგვარება“.

გარდა ამისა, მაისის ბოლოს იენის პროფესორი ჰაინერ ალენსტი წაიკითხავს „სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის საფუძვლების“ კურსს, რომელიც უკვე დაწყებულია და ამჟამად ქეთევან ჰედლინის მიჰყავს.

„დღეს, ტრანსნაციონალურ ეპოქაში, ნაციონალურ კანონმდებლობას სულ უფრო და უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა და შეი-

ნიშნება სამართლის გლობალიზაცია. აქედან გამომდინარე, ეს არ იქნება მხოლოდ გერმანული სამართალი, ეს ნაწილობრივ ევროპული სამართალიც იქნება. ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად, ასევე, ლექციების კურსს გააგრძელებს ქართველი იურისტების დიდი მეგობარი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი გერდ ვინტერი. მისი საქართველოსთან მეგობრობა ჯერ კიდევ იმ დროიდან დაიწყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პირველად იქმნებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობა. გერდ ვინტერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გერმანულ ენაზე წაიკითხავს სალექციო კურსს: „ადმინისტრაციული სამართალი შედარებით სამართლებრივ პერსპექტივაში“.

შვეიცარიიდან თსუ-ში ლექციების წასაკითხად ჩამოდის შედარებით სამართლის ინსტიტუტის პროფესორი ჯან პაოლო რომანი, რომელიც წარმოშობით ინგლისელია. იგი დღესდღეობით სანდ გალინის უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი და შვეიცარიის შედარებით სამართლის ინსტიტუტის წევრია. აღსანიშნავია, რომ ჯან პაოლო რომანი

წლების მანძილზე ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს ხელმძღვანელი იყო. იგი ჩვენს ფაკულტეტზე ამჯერად წაიკითხავს „შედარებითი კერძო სამართლის საფუძვლების“ და „ევროპული კერძო სამართლის“ კურსებს.

„ეს ჩვეულებრივი არჩევითი საგნებია, მაგრამ ისინი, ვინც ამ საგნებს აირჩევენ, მზად უნდა იყვნენ, რომ დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდებოთ — წარმატებით ჩააბარონ გამოცდები აღნიშნულ საგნებში. სწავლების ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს, რომ სტუდენტს, რომელიც ამ საგნებს ჩააბარებს, ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, ენობრივი ბარიერიც მოეხსნება“, — აღნიშნა ირაკლი ბურდული.

როგორც საუბარში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამშენებ ქეთი ვარდოსანიძემ აღნიშნა, პირველი ლექციის კურსის დამთავრების შემდეგ, რომელიც ეკატერინე დოლირინამ წაიკითხა, სტუდენტებმა შეავსეს სპეციალური ბლანკები, თუ რამდენად მოეწონათ ინტენსიური კურსი, ან რა არ მოეწონათ და რის შეცვლას ისურვებდნენ. გამოკითხვამ დაადასტურა, რომ სტუდენტებს ძალიან მოსწონთ უცხოელი ლექტორების მიერ წაიკითხული ინტენსიური კურსები.

„სტუდენტი, რომელიც უცხოენოვან კურსს ირჩევს, საგნის დაძლევის პრობლემა არ აქვს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სტუდენტი ახერხებს ზღვარის გადალახვას საგნის ჩაბარებისას“, — აღნიშნა ქეთი ვარდოსანიძე.

ირაკლი ბურდულის ინიციატივით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე მომავალ სემესტრშიც ჩამოვლენ უცხოელი პროფესორები, რომლებიც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ინტენსიურ კურსებს წაიკითხავენ. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მაგისტრანტებისთვის საავალდებულოა უცხოენოვანი კურსის გაკლა.

ამჟამად ფაკულტეტის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს პარიზის მეცნიერებათა აკადემიასთან, რათა მომავალში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტზე ლექციების ინტენსიური კურსი ფრანგულ პროფესორებმა წაიკითხონ.

პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერებს

თამარ მარუაშვილი

უკვე მესამე წელია, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სეფ) წარმატებით ახორციელებს კონკურსს — „პრეზიდენტის გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის“.

წელს კონკურსში გაიმარჯვა და პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი მოიპოვა თსუ-ის სამმა ახალგაზრდა მეცნიერმა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში — თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიის თანამშრომელმა, ფიზიკის დოქტორმა ვასილ ტაბატაძემ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ფაკულტეტის ორგანული ქიმიის მიმართულების დოქტორანტმა აკაკი კალატოზიშვილმა და მექანიკაში — თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა ნატალია ჩინჩალაძემ.



აკაკი კალატოზიშვილი

ვასილ ტაბატაძის საკონკურსო თემა: „დამხმარე გამომსხვივებლების მეთოდის გამოყენება კომპლექსური მასალების კომპიუტერული მოდელირებისათვის“.

„კომპლექსური მასალები წარმოადგენს დიფერენციალურ სხეულებს, რომელშიც მინარევების სახით შეტანილია სხვადასხვა ფორმის მავთულების პერიოდული წყება, რომლებიც გარკვეულ სიხშირულ დიაპაზონში ამჟღავნებენ რეზონანსულ თვისებებს. შედეგად მიიღება ხელოვნური მასალები, რომლებიც წარმოადგენს მოცემულ სიხშირულ დიაპაზონში კირალურ, ბიზოტროპულ და ბიანიზოტროპულ სხეულებს — ისინი შესაძლებელია გამოვიყენოთ მაღალსიხშირული დიაპაზონის კავშირგაბმულობის მოწყობილობებში, საბაზო ელემენტების მომავალი თაობის ინტეგრალური სქემებისთვის და სამხედრო მიმართულებითაც, კერძოდ, რადარისთვის შეუმჩნეველი სამხედრო თვითმფრინავების ზედაპირის დასაფარად. კომპლექსური მასალების უპირატესობა მათი დამზადების სიმარტივეში მდგომარეობს. მისი თვისებების რეალური ექსპერიმენტის საშუალებით შესწავლა დიდ თანხებთან და დროსთან არის დაკავშირებული, ამიტომ ჩვენ ვახდენთ მათი თვისებების გამოკვლევას კომპიუტერული მოდელირებით, რაც გაცილებით იაფია და საშუალებას იძლევა კომპლექსური მასალების თვისებები ოპტიმალურ დროში გამოვიკვლიოთ“, — აცხადებს ვასილ ტაბატაძე.

დღევანდელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ეფექტური სამკურნალო საშუალებების შექმნა ისეთი დაავადებებისთვის, როგორცაა შექმნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (მიდსი), ავთვისებიანი სიმსივნე, ტუბერკულოზი და სხვა. ასეთი საშუალებების ახალი მოქმედი შემადგენლების ძიება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. თსუ-ის დოქტორანტის აკაკი კალატოზიშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი „ინდოლისა და ქინაზოლინის ბირთვების შემცველი ახალი ჰეტეროციკლური სისტემების სინთეზი ბიოაქტიური ნაერთების ძიების გზით“, მიზნად ისახავს ახალი აზოტოვანი ჰეტეროციკლური სისტემების შექმნას, მათი სინთეზის პრეპარატული მეთოდების შემუშავებას და ამის საფუძველზე ახალი თაობის პოტენციური ფარმაცოლო-

გიური სუბსტანციების მიღებას.

ნატალია ჩინჩალაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი „ნამახვილებული ფირფიტების რხევის ამოცანები დაზუსტებული თეორიის საფუძველზე“ გულისხმობს ნამახვილებული ფირფიტების ღუნვის ამოცანების განხილვას კლასიკური (გეომეტრიულად) არანრფივი ღუნვის თეორიისა და რაინერ-მინდლინის თეორიის საფუძველზე. ნამახვილებული გარსების შესწავლა-გამოკვლევა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. პრაქტიკაში ნამახვილებული გარსები გვხვდება ნაწილობრივ ჩამაგრებული ბოლოების მქონე სივრცულ კონსტრუქციებში, მაგალითად, როგორცაა სტადიონების სახურავები, თვითმფრინავის ფრთები, ასევე, სხვადასხვა სახის ჩარხები... ასევე გვხვდება კოსმონავტიკაში, ტურბინებში და სხვა საინჟინერო კონსტრუქციებში. მსგავსი სხეულების შესწავლა მიეძღვნა რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროექტი.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემა მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მათი სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას ემსახურება. ასეთ კონკურსებში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება ახალგაზრდა მეცნიერს დიდ გამოცდილებას აძლევს და მეცნიერული კვლევის წარმატებულად განხორციელებაში უწყობს ხელს. დღემდე დაფინანსებულია 124 ახალგაზრდა მეცნიერი.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2010 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებულებისათვის საინფორმაციო შეხვედრა-ტრენინგი გამართა. ახალგაზრდა მეცნიერებს მიუზღოდათ პროგრამული და ფინანსური ანგარიშების გამართულად სანარმოებლად საჭირო ინფორმაცია.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაარსდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ივლისის 653 ბრძანებულებით მეცნიერების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ფონდის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით, საკონკურსო წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენტის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფო გრანტებისა და სტიპენდიების გაცემის ორგანიზება. ფონდის ძირითადი მიზანია წარმოადგენს სამეცნიერო პოტენცია-



ნატალია ჩინჩალაძე

ლის გაძლიერების მიზნით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელის შეწყობა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსს ყოველწლიურად აცხადებს.

პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების პროგრამა მიზნად ისახავს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით. გრანტების პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალურ გრანტებს ახალგაზრდა მეც-

ნიერთა სამეცნიერო პროექტების მხარდასაჭერად.

გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროგრამის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სეფ). ფონდი უზრუნველყოფს სეფ-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული



ვასილ ტაბატაძე

პროექტების საქართველოს პრეზიდენტთან დასამტკიცებლად წარდგენას, დამტკიცებული პროექტების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმებას და სხვა.

ინდივიდუალური გრანტების პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს), რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გრანტის მაძიებლის ასაკი, ფონდში პროექტის წარდგენის პერიოდში, უნდა იყოს 35 წლამდე. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს. ინდივიდუალური საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. თითოეულ პიროვნებას შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი ერთ საგრანტო კონკურსში. პროექტები შეესაბამება განხორციელებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ორგანიზაციის ბაზაზე.

თითოეული გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 15 000 ლარი წელიწადში. თანხის ოდენობა იცვლება პროექტის განხორციელების ვადებიდან გამომდინარე: 3-თვიან პროექტზე — 5000 ლარი, 6-თვიან პროექტზე — 9000 ლარი, 9-თვიან პროექტზე — 12 000 ლარი, 12-თვიან პროექტზე — 15 000 ლარი.

„გრანტის მიღების მსურველი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: თუ ახალგაზრდა მეცნიერის პროექტი ნათლად არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, მიზანი და ამოცანები; აქვს მაღალი მეცნიერული ან პრაქტიკული მნიშვნელობა; ნათლად არის ჩამოყალიბებული მოსალოდნელი შედეგები — მათი მიღებისა და შეფასების მექანიზმები; პროექტის განხორციელება შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში რეალისტურია; ნათლად არის აღწერილი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები, ხოლო არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება რეალისტურია; პროექტის განხორციელებისათვის გრანტის მაძიებელს გააჩნია სათანადო პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია“ — ასე ჩამოყალიბდა სეფ-ის კოორდინატორმა მკაქა ქაჯაიამ ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზე ხდება გრანტის მიღება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაცემა პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ კონკურსის წესით შერჩეულ ახალგაზრდა მეცნიერთა შემდეგ სამეცნიერო პროექტებზე: მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, საბუნებისმეტყველო, დედამიწის სივრცის შემსწავლელი, სამედიცინო, საინჟინერო, აგრარული მეცნიერებები და სხვა.


„მიმონერა“ დედაენასთან

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში — „საუკეთესო ლექსი და საუკეთესო მოთხრობა დედა ენის შესახებ“, უნივერსიტეტის მრავალმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. 14 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჟიურიმ სამი გამარჯვებული სტუდენტი გამოავლინა და სამახსოვრო სიგელბრძოლა დააჯილდოვა. მესამე ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფაკულტეტის ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტმა ლექსო დორეულმა ლექსისთვის „დედაენა“ დაიმსახურა, დიპლომი II ადგილისთვის ერგო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფაკულტეტის II სემესტრის მაგისტრანტს ანა ბაქანიძეს, რომელმაც ასევე დედაენაზე დაწერა ლექსი, პირველი ადგილი კი მოიპოვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფაკულტეტის

ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტმა გიორგი ლიქოკელმა, რომელმაც, ჟიურის აზრით, ძალზე ორიგინალური მოთხრობა „14 აპრილი — თოთხმეტი მოდგმა — 14 გზავნილი“ დაწერა.

გიორგი ლიქოკელი მხოლოდ სამი წელია, რაც წერს და უკვე რამდენიმე კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ამბობს, რომ ერთ მართლაც მშვენიერ დღეს მიხვდა, რომ ამ ფორმით უკეთ მოახერხებდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. გასაკვირი არ არის, რომ კითხვა უყვარს, განსაკუთრებით კნუტ ჰამსუნის და გურამ დონაშვილის ნაწარმოებები მოსწონს. წუხს, რომ ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა შეანეღა მის თაობაში წიგნისადმი სიყვარული, ამიტომაც გაუჩნდა სურვილი, დაწერა მოთხრობა დედაენაზე, სადაც თავის პოზიციას გამოხატავდა —

ამისთვის ახალგაზრდა მწერალმა თავის ნაზრევის გამოსახატად ორიგინალური მანერა აირჩია. „ძალიან მომეწონა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფაკულტეტის და ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული იდეა და გადავწყვიტე აღნიშნულ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობის მიღება, უფრო მეტიც, რაიმე ინოვაციურის მოიქცევა. კერძოდ, წარმოვაადგინე „მიმონერა“, რომელიც ჩემსა და დედაენას შორის გაიმართა. ცოტა ალოგიკურად ჟღერს არა? — მიმონერა დედაენასთან — პარადოქსულია, ხომ? თუმცა, მერწმუნეთ, ქვეყნად ყოველივე შესაძლებელია, თუ რამეს გულთ მოინდომებთ“, — ამბობს გიორგი, რომელიც გულწრფელ მადლობას უხდის თავის „მეგობარ დედაენას“, რომელმაც სიამოვნებით უპასუხა მის 14 გზავნილს ელექტრონული ფოსტით.



ქართული ენის სწავლების ერთნაირი პროგრამა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის

14 აპრილს, ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, დიდი დანხრებით გაიმართა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის, როგორც მეორე ენის სწავლების საუნივერსიტეტო პროგრამა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას ამ პროგრამის კოორდინატორმა კახა გაბუნიაშვილმა გააცნო.

შურთისა გაროშვილი

ალანისშენი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გათვალისწინებით 2009 წლის ნოემბერში ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. კერძოდ, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები ჩააბარებენ გამოცდას მხოლოდ ზოგად უნარებში, უმაღლეს სასწავლებლებში მათთვის ცალკე კვლევით გამოიყოფა და პირველ კურსზე ისინი სახელმწიფო ენას (ქართულს) 60 კრედიტის ფარგლებში შეისწავლიან.

საქართველო მრავალენოვანი ქვეყანაა და, შესაბამისად, იგი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაზეც აისახება. კახა გაბუნიას ინფორმაციით, საქართველოში 234 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, რაც საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11,00%-ს შეადგენს. არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების რაოდენობა და ხვედრითი წილიც საკმაოდ მაღალია. მათი რაოდენობა საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8,79 %-ს შეადგენს.

„არაქართულენოვანი სკოლები იზოლირებული აღმოჩნდნენ განათლების რეფორმის კონტექსტში. ამ სკოლების კურსდამთავრებულთა ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დაბალი იყო და ასეა დღესაც.“

განსაკუთრებით შემაშფოთებელია უმცირესობათა წარმომადგენლების უმაღლესეში ჩაბარების კლების ტენდენცია: მათთვის განკუთვნილი მისაღები გამოცდების დღემდე არ-

სებული ფორმატი აშკარად წარუმატებელი იყო. 2005 წლიდან მოყოლებული, სომეხ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში უმაღლეს სასწავლებლებში ჩამბარებულების რაოდენობამ, მომატების ნაცვლად, იკლო. მიზეზი მარტივი იყო - სომეხი და აზერბაიჯანელი აბიტურენტები გამოცდებზე, როგორც ქართულენოვანი აბიტურენტები, ქართულ ენაში სტანდარტულ ტესტს აბარებდნენ. ამიტომაც იყო, რომ 2005 წელს ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ნალკასა და მარნეულში 2.666 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებლებში სულ 91-მა მოსწავლემ ჩააბარა, საგრანტო დაფინანსება კი მათგან მხოლოდ ერთმა მიიღო. 2007 წელს მათი რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა — დაახლოებით სამი ათასი სკოლადამთავრებულიდან უმაღლესში 47 აბიტურენტი მოხვდა. 2009 წელს კი ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე სულ 2 სომეხი ეროვნების აბიტურენტი გვყავს“, — აღნიშნავს კახა გაბუნია.

მისი აზრით, ამ სიახლის დანერგვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული: საქართველოში არ არის შემუშავებული ენის ფლობის დონეთა შესახებ ერთიანი სტანდარტი, ერთიანი ეროვნულ გამოცდებში დანერგულია შეჯიბრობითობის პრინციპი, რაც, ენობრივი კომპეტენციის ამა თუ იმ დონის განსაზღვრას ვერ ახდენს (თეორიულად, დასაშვებია, რომ კონკურსში მინიმალურ ბარიერგადალახული პირი ვერ ფლობდეს ენას იმ დონეზე, რომ შეძლოს ლექციების მოსმენა სახელმწიფო ენაზე, ნაკითხულის გაგება და ა.შ.). ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან არაქართულენოვანი ქართულ ენაში გამოცდის ამოღება ამ პრობლემას ვერ გადაჭრის — 1-წლიანმა პროგრამულმა მო-

დულმა გარანტირებულად უნდა განუვითაროს აბიტურენტების უნარები, რაც სახელმწიფო ენაზე სწავლებას უზრუნველყოფს.

კახა გაბუნიას აზრით, არსებობს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა: საქართველოში სათანადოდ არ არის განვითარებული მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგია. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულს ასწავლიან, როგორც მშობლიურ ენას და, უკეთეს შემთხვევაში, სხვაობა მხოლოდ პროგრამის შეკვეცაზეა დასვლი. მნიშვნელოვანი პრობლემა თვითონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოუმზადებლობა მსგავსი ტიპის პროგრამების განხორციელების პროცესში. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც უნდა მიიღონ კვლევითი შედეგად ჩარიცხული სტუდენტები და მოამზადონ ერთი წლის განმავლობაში მეორე ენის სწავლების მიმართულებით, მსგავსი ტიპის პროგრამების განხორციელების გამოცდილება, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ (გამონაკლისია ჯავახეთის კოლეჯი, რომელმაც 5-6 წლის წინ 1+4 სისტემა დაამკვიდრა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის).

„ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გათვალისწინებით, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორთა ჯგუფმა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოში“ შიგნით პროექტი — „ქართული, როგორც მეორე ენის სწავლების პროგრამული მოდულის მომზადება არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის“.

პროექტის მიზანია, შექმნას ერთიანი ენ. „ჩარჩო-კურიკულუმი“ და შეფასების კრიტერიუმები არაქართულენოვან სკოლადამთავრებული აბიტურენტებისთვის, რომელთაც წარმატებით გადალახეს ზოგადი უნარების გამოცდა (ტესტირება) მშობლიურ (სომხურ, აზერბაიჯანულ აფხაზურ და ოსურ) ენაზე და სწავლის გასაგრძელებლად ესაჭიროებათ ენობრივი კომპეტენციების ამაღლება სახელმწიფო (ქართულ) ენაში. ჩარჩო-კურიკულუმი



და შეფასების სტანდარტი საერთო იქნება საქართველოში ფუნქციონირებადი ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომელთაც უნდა მოამზადონ სტუდენტები ერთნაირი პროგრამის ფარგლებში“, — აცხადებს კახა გაბუნია.

მისი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგარუდება ტრენინგების ჩატარება პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ტრენინგებზე ექსპერტები გააცნობენ პროფესორ-მასწავლებლებს შემუშავებულ შეფასების სისტემას, თანამონაწილეობით შექმნილ ჩარჩო-კურიკულუმის სტრუქტურას და ამ კურიკულუმის ბაზაზე ექსპერტთა მიერ განვირეული სილაბუსებს; მოხდება ტრენინგ-ექსპერტთა მიერ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უახლესი მეთოდოლოგიის გაცნობა.

ამ გატარებული წლები საუკეთესო მოგონებად დარჩებათ

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იყო ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შავი ზღვის რეგიონში. სწავლისა და სწავლების მაღალი დონე, სტუდენტისთვის შექმნილი ხელსაყრელი გარემო ბევრ უცხოელ ახალგაზრდას უღვიძებს სურვილს, სწორედ აქ მიიღოს უმაღლესი განათლება.

დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ქვეყნის 139 მოქალაქე სწავლობს. მათ შორის არიან თურქი ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა ფაკულტეტზე უფლებიან პროფესიას. ჩვენ რამდენიმე მათგანზე შევაჩერეთ ყურადღება.



ჰამზა ალდემერი

ფატმაგულ ოზთურქი, ჰამზა ალდემერი და ჰიქმეთ ოდემიში უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულებაზე სწავლობენ. მათი თქმით, ფსიქოლოგია თურქეთში საკმაოდ მოთხოვნილი სპეციალობაა და დასაქმების პრობლემაც არ ექნებათ, რადგან იქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ენდობიან.

ფატმაგული თურქეთის ქალაქ ადანაში ცხოვრობს, ჰამზა - მანისაში, ჰიქმეთი კი - კაისესში. მათ თურქეთში ჩააბარეს საერთო ეროვნული გამოცდები. სათანადო ქულების მიღების შემდეგ კი სპეციალურ ჩამონათვალში საქართველოს, გერმანიის, ამერიკისა და აზერბაიჯანის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან აარჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც უცხოელ სტუდენტებს სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე იწვევდა სწავლის გასაგრძელებლად.

მას შემდეგ უკვე სამი წელი გავიდა. ადაპტაციის პერიოდმა ძნელად, მაგრამ მაინც გაიარა. ისინი უკვე ქართულად საუბარსაც ახერხებენ და უნივერსიტეტში სწავლის წარმატებულ არჩევანზეც მსჯელობენ.

ჩვენთან საუბარში ფატმაგულ ოზთურქი და ჰამზა ალდემერი აქტიურობდნენ და დიმილით გვიყვებოდნენ, როგორ უშინოდათ თავიდან უცხო ქვეყანაში განსხვავებული კულტურისა და ენის მქონე ხალხთან ურთიერთობის და რა სასიამოვნოდ წარმართა მათთვის ეს სამი წელი, რომელმაც ახალი მეგობრები და საქართველოსადმი განსაკუთრებული სიყვარული შესძინათ.

— იმ ქვეყნებიდან, რომლის უნივერსიტეტებზეც სწავლის გაგრძელება გთავაზობდათ, ბევრია წარმატებული და სწავლების დონით გამორჩეული. რატომ აარჩიეთ საქართველო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

ფატმაგულ ოზთურქი: საქართველო თურქეთის მეგობარი ქვეყანაა. ჩვენ კარგი მეზობლობა გვაქვს, თანაც საქართველო თურქეთთან ახლოსაა და გადავწყვიტეთ, აქ ჩავგებარებინა.

ჰამზა ალდემერი: ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას, რომ ამ უნივერსიტეტში კარგად ასწავლიან და ვიცით, რომ აქ მიღებული დიპლომით მუშაობის დაწყება არ გავიჭირდება.

— როგორ შეგხვდათ უნივერსიტეტი, გაგიჭირდა თანაკურსელებთან და ლექტორებთან ურთიერთობა?

ფატმაგულ ოზთურქი: თავიდან გვეშინოდა. აქ სხვა ქვეყანაა, სხვა ტრადიციები, სხვა ადამიანები, სხვა კულტურა, სხვა ენა... მეც ვშიშობდი, რომ გამიჭირდებოდა, მაგრამ დღეს უკვე ყველაფერი კარგადაა.

ჰამზა ალდემერი: მოსამზადებელ კურსებზე გამოძინებულა, რადგან ენა არ ვიცოდი, ჩვენი ლექტორების დამსახურებაა, რომ ქართული ვისწავლეთ და ურთიერთობები ალარ გვიჭირს.

— ლექციებს ქართულ ენაზე ისმენთ. საინტერესოა, ყველაფერი გასაგებია თქვენთვის თუ მეგობრები გეხმარებიან?

ფატმაგულ ოზთურქი: ყველაფერი გასაგებია არ არის, მაგრამ მეგობრები გვეხმარებიან. რასაც ვერ ვიგებთ, თურქული ნიგნებიდან ვსწავლობთ.

— როგორი ქულები გაქვთ?

ფატმაგულ ოზთურქი: საშუალო, რადგან ჩვენთვის ძნელია გამოცდებზე მთლიანად გამოვამუღავნოთ თავი.

ჰამზა ალდემერი: განსაკუთრებით გვეძნელება მაღლივ კორპუსში ერთიანი გამოცდებზე გასვლა, რადგანაც გამოცდები ერთმანეთზეა მიწყობილი და ვერ ვასწრებთ ყველაფრის სწავლას. ამიტომ ქულებიც შესაბამისად საშუალოა.

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სად დასაქმდებით, არის თურქეთში ფსიქოლოგების დასაქმების საშუალება?

ჰამზა ალდემერი: დიახ, არის. თურქეთის სამედიცინო დაწესებულებებში და სკოლებში ფსიქოლოგები სჭირდებათ.

— საინტერესოა, სწავლისგან თავისუფალ დროს როგორ ატარებთ, რას საქმიანობთ?

ჰამზა ალდემერი: ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. ამიტომ არ მიჭირს აქ ყოფნა. მე, თურქ მეგობრებთან ერთად,

წერეთლის გამზირზე ვცხოვრობ და მეზობლებთანაც კი მაქვს ურთიერთობა. ამას წინათ ბაირამზეც ვიყავი მიწვეული. რაც საქართველოში ვარ, სხვადასხვა კუთხეებზე დავათვალიერებ, ვიყავი კახეთში, ბაკურიანში. ფეხბურთზეც ხშირად დავდივარ და თურქეთშიც მივიწვი რამდენიმე ქართველი მეგობარს...

ფატმაგულ ოზთურქი: ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ ქართველ მეგობრებს და თურქულ საჭმელებს ვთავაზობთ. ვაკეთებთ ტოლმას და მანთის, რომელიც თქვენი ხინკლის მსგავსია. ძალიან მომწონს ქართული სამზარეულო და ქართული საჭმელების გაკეთებასაც ვცდილობ, მაგრამ მაინც მიჭირს. თუმცა ხაჭაპურის გაკეთება ვისწავლე.

რაც შეეხება თავისუფალი დროის გამოყენებას, ხშირად ვსვინობთ, ქართველ მეგობრებთან ერთად დავდივართ ბილიოთეკებში, თეატრში...

თურქეთში წელიწადში ორჯერ ჩავდივართ — ზაფხულის და ზამთრის არდადეგებზე... ცოტა ხანში უკვე სწავლას დავასრულებთ და აქ გატარებული წლები საუკეთესო მოგონებად დავგვრჩება.

— როგორია თქვენი თვალთ დასახული საქართველო?

ფატმაგულ ოზთურქი: აქ ძალიან კარგი ხალხია, თბილი და ყურადღებიანი, ამიტომაც არასოდეს დავგავინწყებდა საქართველო და ქართველებს.

ჰამზა ალდემერი: როგორ შეიძლება დავგავინწყებ და არ დავაფასოთ საქართველო, სადაც ჩვენთვის ძალზე ხელგაშლილი და სტუმართმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. აქედან ცოცხალი და ამ ქვეყნისადმი ძალიან დიდი პატივისცემა მიგვეყვება.



ფატმაგულ ოზთურქი

ჰიქმეთ ოდემიში

საუბარი დიდხანს არ გავრძელებულა, მაგრამ თურქი ახალგაზრდების მოკრძალებულობა და ქართველებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ ზავასპული პატივისცემა მაინც იგრძნობოდა. რედაქციიდან გაცვლისას გვთხოვეს — შეიძლება ჩვენ კარგად ვერ ვილაპარაკეთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ძალიან გვინდა ყველაფერი კარგი დაწეროთ საქართველოსადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე, რადგან აქ ყოფნა ძალიან მოგვწონს... ვფიქრობ, მათი თხოვნა შევასრულეთ...

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება უნივერსიტეტში

სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია პროფესორ-მასწავლებლებს სრულ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევს იმისთვის, რომ საფუძვლიანი და პრაქტიკასთან დაახლოებული ცოდნა მიიტანონ სტუდენტებამდე. ნოვაციები, რომელიც უკვე აპრობირებულია მსოფლიოს ბევრ წარმატებულ უმაღლეს სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც იკიდებს ფეხს. ამას ხელს უწყობს როგორც უცხოელ მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტები, ასევე უცხოეთში მოღვაწე იმ ქართველ პროფესორთა ძალიან მრავალი, რომლებიც ცდილობენ, მშობლიურმა უნივერსიტეტმა მყარად მოიკიდოს ფეხი მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა შორის.



მაია ტორავა

მათ რიცხვში, ვინც უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამას ყოველწლიურად ამდიდრებს ნოვაციებით, არის ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი ზაალ კოკაია, რომელიც ამავე დროს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მონვეული პროფესორიცაა. მისი ლექციები სტუდენტებში მუდმივად იწვევს ინტერესს. მიმდინარე სასწავლო წელს პროფესორი ზაალ კოკაია თსუ-ის დოქტორანტებთან ერთად კურსს უძღვებოდა. მათ შორის ერთი ეხებოდა სამეცნიერო წერას, ხოლო მეორე — დოქტორანტებისთვის „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ სწავლებას.

სამეცნიერო წერის კურსი ინგლისურ ენაზე წარმართა. დოქტორანტებმა ისწავლეს, როგორ უნდა დაინეროს სამეცნიერო სტატია და სამეცნიერო გრანტი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვა საერთაშორისო ფონდების მოთხოვნათა მიხედვით. ლექციების შემდეგ სტუდენტებს ეძლეოდათ დავალება, დაეწერათ სამეცნიერო სტატია (თუ უკვე მუშაობენ რომელიმე თემაზე) და გაეკეთებინათ ანონიმური შეფასება სამეცნიერო თემის პრეზენტაცია, ასევე დაეწერათ გრანტი საკუთარი ან სხვათა სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით. მათ პრაქტიკულად გაიარეს ყველა საფეხური. გამოცემაზე ყველა მათგანს ჰყავდა ოპონენტი, რომელიც აფასებდა თანაჯგუფელის ნაშრომს. საბოლოო ჯამში კი სამეცნიერო გრანტის წერის, სამეცნიერო წერისა და სამეცნიერო პრეზენტაციის მოთხოვნების ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, მათ პროფესორი ზაალ კოკაია აფასებდა. გამოცემა და პრეზენტაცია, ისევე როგორც ლექცია, ინგლისურ ენაზე წარმართა.

რაც შეეხება „პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას“, ეს საბაზისო სწავლების ფორმა და მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტშია დანერგილი. სწავლების ეს მეთოდი ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის

პროცესის საწყის ეტაპად იყენებს „პრობლემას“. ეს კურსი ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობას, ყურდობდა პრაქტიკულ ცოდნას.

როგორც ბატონმა ზაალ კოკაიამ აგვიხსნა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას ლექციაზე სტუდენტს ეძლევა ე.წ. ახალი ქეისი, რომელშიც მოცემულია სამედიცინო შემთხვევასთან დაკავშირებული პირობა (მაგალითად, ასეთი: „დედამ მიიყვანა ექიმთან ბავშვი, რომელსაც მხრებზე და ხელზე შეენიშნებოდა სინითლე და დამწვრობის ნიშნები. წინა დღით ბავშვი რამდენიმე საათის განმავლობაში თამაშობდა მზეზე მაისურის გარეშე.“), რომლის გაცნობის შემდეგაც სტუდენტები განსაზღვრავენ, თუ რა პრობლემასთან აქვთ საქმე ამ კონკრეტულ ეპიზოდში. შემდეგ ისინი ქმნიან ჰიპოთეზებს — როგორ შეიძლება აიხსნას წარმოდგენილი პრობლემა. ამ პროცესში ვლინდება, რა ცოდნა აკლიათ მათ იმისთვის, რომ პრობლემა გადაიჭრას, ანუ ახდენენ იმ სასწავლო ამოცანების იდენტიფიცირებას, რაც მოცემულ პრობლემაზე სწორი პასუხის გასაცემად უნდა აითვისონ.

ჯგუფური მეცადინეობის დროს იქმნება ჰიპოთეზები და ყალიბდება სასწავლო ამოცანები, რის შესაბამისადაც სტუდენტები ინდივიდუალურად ემზადებიან სხვადასხვა წყაროებიდან და სახელმძღვანელოებიდან. შემდეგ მეცადინეობაზე ისინი ცოდნით შეიარაღებული მოდიან და იწყებენ მოპოვებული ინფორმაციის გაზიარებას, გამოცდას (რამდენად კარგად აითვისა) და ოპონირებას სხვა სტუდენტებისთვის. ამავე ლექციაზე დგინდება, რა იყო სწორი წინა მეცადინეობაზე დასმულ ჰიპოთეზებში, ანუ ხდება იმ ცოდნის ნაკლებობის იდენტიფიცირება, რაც წინა მეცადინეობაზე ჰქონდათ.

სწავლის ამ მეთოდში გაერთიანებული ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრინციპები. ამასთან, საფეხურების ზრდასთან ერთად, იმატებს ქეისების სირთულე, სა-

დაც სტუდენტმა უნდა ისწავლოს დიაგნოზის დასმა და მკურნალობა. ამ ლექციებზე სტუდენტები ერთმანეთს ეხმარებიან მრავალფეროვანი და მაღალი დონის ცოდნის მიღებაში.

ლექციას ხელმძღვანელობს ტუტორი (ლექტორი), რომელიც წარმართავს ამ პროცესს. იგი მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქციას ასრულებს, ანუ უსმენს სტუდენტთა მსჯელობას, საჭიროებისამებრ, გარკვეულ მიმართულებას აძლევს მათ და უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა სწორი სასწავლო ამოცანები დასახონ. ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც უძღვება ჯგუფური მუშაობის პროცესს, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს აზრის გამოთქმის და ოპონირების საშუალება. ჯგუფს ასევე ჰყავს მდივანი, რომელიც დაფაზე წერს ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ ყველა ჰიპოთეზას და სასწავლო ამოცანებს.

ზაალ კოკაია: „ჩვენი სასწავლო ამოცანა ისაა, რომ ახსნათ სწავლების პროცესი. თავად მედიცინის კურსში ისწავლება დიაგნოზი და მკურნალობა. ჩვენ კი ვასწავლით, როგორ გამოიყენონ დოქტორანტებმა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი თავისებურება — როგორ ასწავლონ ამ მეთოდით.“

სწავლების ტრადიციული მეთოდისგან განმასხვავებელი პრინციპი ისაა, რომ ეს ფორმა მთლიანად სტუდენტზეა ორიენტირებული. ლექტორი (ტუტორი) კი არ ასწავლის, არამედ სწავლაში ეხმარება სტუდენტთა ჯგუფს.

იმედი გვაქვს, რომ, ადრე თუ გვიან, ეს მეთოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაინერგება. ამ დროისთვის ახალგაზრდები უკვე მზად იქნებიან და ტუტორად მუშაობასაც შეძლებენ.“

პროფესორი ზაალ კოკაია უკვე ერთი წელია ამ საგანს დოქტორანტთა 11-კაციან ჯგუფს უკითხავს. ორი სემესტრის განმავლობაში თითოეულმა სტუდენტმა შეადგინა ქეისი — ტუტორის სახელმძღვანელო. ჩატარდა იმდენი პრაქტიკული მეცადინეობა, რამდენი სტუდენტიც ჯგუფში იყო გაერთიანებული. საბოლოო ჯამში, სწავლასა და სწავლებაში მთელი ჯგუფი მონაწილეობდა. ისინი მორიგეობით იყვნენ ტუტორიც, თავმჯდომარეც, მდივანიც და რიგითი წევრიც. მათ საკუთარ თავზე გამოცდად სხვადასხვა ფუნქციები და გამოცდისთვის მოემზადნენ.

პროფესორ ზაალ კოკაიასთან გამოცდაც რთული იყო — გარდა თეორიული ნაწილის ჩაბარებისა, სტუდენტებმა საგამოცდოდ მოამზადეს ქეისები და ტუტორების სახელმძღვანელოები, ასევე ინდივიდუალურად ჩაატარეს თითო პრაქტიკული მეცადინეობა.

ზაალ კოკაია: „ამ კურსში სტუდენტებმა ისწავლეს აზრის გამოთქმა, სხვის აზრის მოსმენა, დასაბუთება, დისკუსიის კულტურა, ასევე შეითვისეს პრაქტიკული ჩვევები — როგორ გაართვან თავი თავმჯდომარისა და მდივნის ფუნქციას. ვფიქრობ, ეს სავალდებულო კურსი საინტერესო და შედეგიანი იყო.“

ზოგადად, ბიოსამედიცინო დარგში ლექციამ იმ ფორმით, როგორც ჩვენს დროს იყო, თავისი თავი ამოწურა და დარჩა როგორც სოციალური მოვლა (საჯარო ლექციები ვგულისხმობ). ადრე საკითხს ძირფესვიანად ერთი ადამიანი ფლობდა და რადგან სხვა ინფორმაციის წყარო არ არსებობდა, ცოდნის გაზიარებისთვის ლექციის ფორმა მისაღები იყო. დღეს, როცა არსებობს ინფორმაციის მოპოვების განუსაზღვრელი წყარო, კლასიკურმა ლექციამ, გარკვეულწილად, თავისი ფუნქცია დაკარგა. ამ ფორმაში კი ლექციაზე საუბარია არა იმაზე, რისი პუნა და გაცნობა

სტუდენტს თავადაც შეუძლია, არამედ იმაზე, თუ რა არის ახალი და პრობლემატური ამ საკითხთან დაკავშირებით, რა მიღწევებია ამ სფეროში კვლევის თვალსაზრისით. ინოვაციური სწავლების ამ ფორმის დროს შენარ ზღუდავ სტუდენტს, თუ რა სახელმძღვანელოდან მოიპოვოს ინფორმაცია, ის ამაშიც თავისუფალია. მთავარია მან სასწავლო ამოცანები და მიზნები განახორციელოს. სწორედ ესაა პასიური სწავლებიდან აქტიურ სწავლაზე გადასვლის პროცესი, რასაც სტუდენტზე ორიენტირებული უნივერსიტეტი დასავლეთში წარმატებით ახორციელებენ.“

ჩვენ გავცხადებთ იმ დოქტორანტებს, რომლებმაც მიმდინარე სასწავლო წელს აღნიშნული ორი კურსი პროფესორ ზაალ კოკაიასთან გაიარეს. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ კურსებმა მისცათ პრაქტიკული ცოდნა, რომელსაც სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობაში გამოიყენებენ.

ქაა დოქტორანტი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი, ინფექციური პათოლოგიის მიმართულება: „მე მოვისმინე სამეცნიერო წერის ინგლისურენოვანი კურსი. ამ ლექციებზე ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა, გაფანტულად ყველა ჩვენგანს ჰქონდა, თავმოყრილი და სისტემატიზირებული იყო. მოვისმინეთ ბევრი ახალი რამ, რაც საშუალებს მოგვეცემს, სრულფასოვანი სამეცნიერო მუშაობა ვანარმოთ.“

თამარ ლანიშვილი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი, ეპიდემიოლოგიის მიმართულება: „მე დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საღმრთლოზე ზედამხედველობის თემაზე ვმუშაობ. ჩემთვის საახლად გარკვეული მოულოდნელობაც იყო ამ ლექციების მოსმენა, რადგან მიჩვეული ვარ ტრადიციულ ლექციას — როცა ლექტორი გიკითხავს და შენ ისმენ. ეს იყო აქტიური მუშაობის წელი, რადგან ყველა ჩვენგანი ჩართული იყო სწავლის პროცესში. მივიღეთ ცოდნა და გამოცდილება — როგორ უნდა იმუშაო ჯგუფთან, როგორ ამუშაო სტუდენტი სათანადო ცოდნის მიღებისთვის, როგორ მართო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, ყველა ჩვენგანმა შეისწავლა სამეცნიერო წერის თავისებურება, დაეფუძნა გრანტის წერის პრაქტიკა და პრეზენტაციის ხელოვნება. ბატონმა ზაალ კოკაიამ უდიდესი ძალისხმევა ჩააქსოვა იმაში, რომ ყველა ჩვენგანს ცოდნის მაქსიმუმი მიეღო.“

თამარ გომრბოზიანი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი, კარდიოლოგიის მიმართულება: „პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი აპრობირებულია ევროპის ბევრ უნივერსიტეტში და მართლაც საუკეთესო მეთოდია ცოდნის მისაღებად. მოკლე ხანში ეს მეთოდი ალბათ ნაწილობრივ ჩაანაცვლებს სწავლებას ჩვენს უნივერსიტეტშიც. ამისთვის ბევრი ეტაპი იქნება გასავლელი და კარგა, რომ ჩვენ ამისთვის უკვე მზად ვართ.“

დოქტორანტთა სამეცნიერო პრეზენტაციებს ჩვენც დავესწარით. უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანმა თავდაჯერებულად წარმოადგინა თემა ინგლისურ ენაზე. მათ ოპონენტთა კითხვებსაც უპასუხეს და პროფესორის შენიშვნებიც მოისმინეს. ვფიქრობთ, დოქტორანტებთან მუშაობის ეს პრინციპი კარგ საფუძველს ქმნის, რათა მომავალში ქართველ მეცნიერთა არც თუ უმნიშვნელო სამეცნიერო მიგნებები სათანადო დონის ნაშრომებით მიენოდოს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას.

ჰუმანიტარების არჩეული დეკანი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ პროფესორი დარეჯან თვალთვაძე დეკანად აირჩია. მანამდე იგი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ. 27 აპრილს გაიმართა არჩევნები, რომელშიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 70 წევრი მონაწილეობდა. აქედან 68 ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა პროფესორ დარეჯან თვალთვაძის კანდიდატურას.

თბილისის უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, არჩევნების დანიშვნამდე საფაკულტეტო საბჭოს წევრებს დეკანობის კანდიდატმა ფაკულტეტის განვითარების საკუთარი გეგმა წარუდგინა. შესაბამისად საფაკულტეტო საბჭოს წევრები წინასწარ იცნობდნენ დარეჯან თვალთვაძის მიერ შემუშავებულ კონცეფციას, სადაც დანერგილებით არის განერილი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების გეგმა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის კონცეფციის მიხედვით, ცვლილებები შეეა ფაკულტეტის სასწავლო პროცესში, გაუმჯობესდება სტუდენტური ცხოვრება, დაიხვეწება ადმინისტრაციის მუშაობის მეთოდი და ხელი შეეწყობა სამეცნიერო კვლევების განვითარებას.

„ხარისხიანი განათლების მიღება კვლავ რჩება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ ღირებულებად — კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და ქვეყნის უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორად. აქედან გამომდინარე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია მოითხოვს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას: კერძოდ, ხარისხიანი განათლების მიცემით დაკმაყოფილდეს

საზოგადოებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნები; განვითარდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სამეცნიერო კვლევები; კვლევის შედეგად მიღებული ცოდნა გავრცელდეს და დაინერგოს სასწავლო პროგრამებში; გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი; გაიზარდოს სასწავლო პროცესის მართვის ეფექტურობა“, — აღნიშნულია დარეჯან თვალთვაძის მიერ შემუშავებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფციაში.

ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის სრული ვერსიის გაცნობა დაინტერესებულ მკითხველს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შეუძლია. განვითარების კონცეფციაში, ასევე, მოცემულია ის ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც გადამოწმდება დაგეგმილი სამუშაოების შესრულების ხარისხი და ვადები.



„ამ ადამიანმა შექლო — მასზე დადებული მტვერი ჭუჭყად და ტალახად არ ექცია“

პურთხია ბაროშვილი

„ხვეულები“ — ასე ჰქვია მის ბოლოდროინდელ ნააზრევს, რომელიც ჯერ არ გამოზარებია მკითხველისთვის. სამაგიეროდ, ყველამ იცის რთული ცხოვრების გზა, რომელიც ზნეობრივი კომპრომისების გარეშე გაიარა. „ხვეული დრომდე აზრობრივად სათანადოდ შეკუმშულია და გულჩახორობილი. ხვეულობაში ერთგვარი ბუნებითი ჩრდილ-ბინდია დასადგურებული და მხოლოდ განვითარებისას შეიმატებს ხოლმე იგი მისხალ-მისხალ სინათლეს და ამბურებს, ნათელყოფს თქმულის რაობას“, — წერს თენგიზ კიკაჩიშვილი.

ვინც მის ცხოვრებასა და შემოქმედებას იცნობს, ალბათ, მათთვისაც კი ზედმეტი არ იქნება იმის შესხენება, რომ არც ისე ადვილია შეაღწიო ჩვენი დროს მართლაც გამორჩეული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების „ხვეულებში“ და სათანადოდ შეაფასო იგი... თუმცა ერთი რამ მაინც ყველასათვის ცხადია: განვლილი სირთულეების მიუხედავად, ამ ადამიანმა შექლო — „მასზე დადებული მტვერი ჭუჭყად და ტალახად არ ექცია“.

მისი ცხოვრების გაცნობა, რამდენადმე, საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულესი პერიოდის — 80-90-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტების გადახედვის საშუალებაა.

ამჟამად იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ლექციებს უკითხავს. როგორც თვითონ ამბობს, პირველ რიგში მათ უმთავრესს — სამშობლოს სიყვარულს ასწავლის და მიაჩნია, რომ ეს არც ისე მარტივია, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. ასე ასწავლიდა შვილებსაც, რომელთაგან უმცროსი — რატი, 20 წლის იყო, როდესაც გაგრასთან გმირულად დაეცა. მაშინ ისიც კი გაიფიქრა: „ისეც ხდება, რომ საჭიროებას კარგავს ფიქრი „ხვალეზე“, მაგრამ მერე მიხვდა: „ტანჯვა ყოველთვის სულის დახვეწილობისა და გულისხმიერის სიღბოს დამამშვენებელია საბოლოოდ“.

უნივერსიტეტში სტუდენტებსა და ლექტორებს დღემდე ახსოვთ, ახალნაპერაციები, რომელსაც არც ერთი ლექცია არ გაუცდენია. მოუშუშებელ ჭრილობაზე სახვევს მაგრად შემოიჭერდა და უნივერსიტეტში მოდიოდა.

ალბათ, თვითონ გადამეტებულად ჩათვლის, თუ მის ცხოვრებას ვინმე გმირულს უწოდებს... ერთი რამ ნამდვილად ცხადია: მას აქვს უფლება თქვას: „ზნეობრივი კომპრომისების ხარჯზე ვერასოდეს შედგება სრულყოფილი ზეიმი სულისა, რასაც თავისუფლება ჰქვია“. საინტერესო ადამიანთან საუბარი მუდამ გვაძლევს ძალას და ენერჯიას ცხოვრების ხვეულებს რიხით გაყვით — სწორედ ასე შედგა დიდილო-გი თსუ-ის პროფესორთან თენგიზ კიკაჩიშვილთან.

— და იყო უამი იმედისა, უამი ხავილით ამოვარდნილი უდაბნოს ქარის ქვესკნელთა შიგან ჩაბრუნებისა, ეშმაკისაგან რხეული ცხოვრების აღდგენისა, ქვიშით ახალი ქართი გაფანტვისა — წერთ თქვენ „ხვეულებში“. როგორ იყო თქვენ მიერ არც თუ ისე ადვილად განვლილი ცხოვრების გზის დასაწყისი?

— ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, რა თქმა უნდა, ოჯახმა და გარემომ იქონია გავლენა. ამ მხრივ, ორივე შემთხვევაში გამომართლა. მოსამსახურის ოჯახში გავიზარდე: მამა იურისტი იყო, დედა — ექიმი, რომელსაც უნდოდა მისი გზა გამეგრძელებინა და სამედიცინოზე ჩამებარებინა, მაგრამ ბავშვობიდან კითხვა მიტაცებდა, ცოტ-ცოტას ვწერდი კიდევ, ამიტომ ლიტერატურის სიყვარულმა გადაწონა და არჩევანიც ადრეულ ასაკში გავაკეთე. თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში, სადაც ვსწავლობდი, საუკეთესო ქართულის მასწავლებელი მყავდა — გოგი ჩიქობავა, რომელიც ეგრეთწოდებული „შახალათიანების“ წარმომადგენელი და გალაკტიონის მდივანი იყო. სწორედ მან ჩამინერგა ლიტერატურის სიყვარული. საუკეთესო მეგობრები მყავდა. მათგან უმეტესობამ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა. ხანდახან ვწუხობდით კიდევ, თუმცა „ბირუაზე“ დგომა არ მიყვარდა. ვცელქობდით, მაგრამ ზღვარს არ გადავიდოდით. მშობლებს დიდ პატივს ვცემდით. სამწუხაროდ, რელიგიური აღზრდა და განათლება დავაკლდა, თუმცა, ჩემი ოჯახი ტრადიციებს პატივს სცემდა და, ზოგადად, რასაც რელიგია ქადაგებს, იმ ზნეობრივი ღირებულებებით ვიზრდებოდით. შესაძლოა, ჩვენ უფრო მეტად ვიყავით რელიგიურები, ვიდრე ისინი, ვინც პირველად ინერვი და საეკლესიო რიტუალებს ასრულებენ. ჩემი დევიზი ყოველთვის იყო: — ზნეობა — უპირველეს ყოვლისა! რის შენარჩუნებასაც ცხოვრების ყველა ეტაპზე ვცდილობდი.

— უნივერსიტეტში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე რთული პერიოდები გქონდათ. ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებდით თქვენს საქმიანობას?

— ჩემი ცხოვრება ორგანულად არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან. მართალია, ამ ხნის მანძილზე იყო რთული პერიოდებიც, მაგრამ უნივერსიტეტის დატოვება არასდროს მიფიქრია.

ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1987 წლიდან 2006 წლის ჩათვლით უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე ვიყავი. ათეული წლების მანძილზე დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, დისერტაციების სპეციალური საბჭოს სწავლული მდივანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეც ვახლდით. 1970 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია — „დიდოსტატის მარჯვენა“ და მისი მხატვრული სტილი, 1980 წელს კი — სადოქტორო, რომელიც ასევე კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნებოდა. უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებში შეიქმნა ჩემი რამდენიმე მონოგრაფია, ორი პოეტი-

კური ნარკვევი და 100-მდე მეცნიერული ნაშრომი. მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე ვარ.

— სირთულეები ახსენით...

— პირველი წინააღმდეგობა მაშინ შემხვდა, როდესაც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს ვიცავდი. უკვე მოგახსენეთ, რომ ორივე თემა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას მივუძღვენი. ამის გამო „ვილაცებმა“ მიჩვილეს. კომისიის წევრები დანტერესდნენ, რატომ ავირჩიე მაინც და მაინც ორივეჯერ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება და არა პუშკინის ან დოსტოევსკის შემოქმედება. მასხოვს, ძალიან დამთრგუნველ გარემოში მომინია ჩემი პოზიციის დაცვა. ის ოთახი, სადაც შემეყვანეს, მოთავსებული იყო სამხედრო ნომენკლატურის წინ. კომისიის წევრებმა ბევრი შეკითხვა დამისვს. შევეცადე დამესაბუთებინა და დამეცვა ჩემი პოზიცია.

ახალგაზრდობიდან მიყვარდა ზვიადი. გამსახურდიების გამორჩეულად სიყვარულისათვის სხვა დროსაც გავმხდარვარ განკიცხვის საბაბი. მასხოვს, დიდი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, იმის გამო, რომ ზვიადის გვერდით ვიყავი, არაკაცი მიწოდა. წლების შემდეგ, როდესაც შევატყვე, რომ ჩემთან შერიგება უნდოდა, ვკითხე, ისევე იმას ფიქრობთ ჩემზე, რასაც ადრე ფიქრობდით-მეთქი? გაიკვირვა, მართლა ასე გითხარიო?

წინააღმდეგობები ნამდვილად იყო, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენმა რექტორმა, ბატონმა გიორგი ხუბუამ შესაშური გონიერება გამოიჩინა და ბევრჯერაც მომიმინა. არ შემიძლია მაღლიერებით არ გავიხსენო ის გულმხმობილება და თანადგომა, რომელიც მან გამოიჩინა ჩემს მიმართ, როდესაც ფეხი მოვიტყეე და ორი ოპერაცია დამჭირდა. მიხარია, რომ კვლავ უნივერსიტეტში ვარ და საშუალება მაქვს ახალგაზრდებს ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო.



— როდის გაგიჩნდათ სურვილი, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულიყავით, თანაც აქტიურად?

— ძალიან პატარა ვიყავი, კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ რომ წავიკითხე, იმ იდეალებით ვიკვებებოდი. ვთვლი, რომ ეროვნული კაცის ყოველთვის ვიყავი — მიყვარდა ქვეყანა, სამშობლო...

ჩემი დისერტაციის დაცვის ამბავმა ზვიადის ყურამდეც მიადგინა. ლიტერატურის ინსტიტუტში დამიბარა და მკითხა, რა მოხდაო. ახლაც თვალწინ მიდგას: ხელში პორტფელი ეჭირა და კედელს მიყრდნობილი ყურადღებით მისმენდა. მერე და მერე უფრო დავახლოვდით. ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი მის შემართებას და თავგანწირვას. ახლაც იმავე აზრზე ვარ. მის გვერდით ვიყავი ყოველთვის და ეს მუდამაყვება. ვთვლი, რომ მას თუ რამე შეცდომა ჰქონდა, ეს იყო ქართული შეცდომა.

— ზვიადის ერთგულებისთვის დიდხანს იღვენებოდით...

— ზვიადი რომ გააძევეს, ცოტა ხანს სახლში ვიყავი, მაგრამ არანაირი შიში არ გამჩენია. იმ პერიოდში ცამეტჯერ დამაკავეს, თბილისის თითქმის ყველა უბნის პოლიციის გან-

ყოფილებაში ვარ ნამყოფი, მაგრამ არაფრის დათმობას არ ვაპირებდი, არც დამითმია. მე და ჩვენმა თანამოაზრეებმა ჩამოვყალიბეთ ეროვნული ხსნის წინააღმდეგობის ფრონტი, შემდეგ კი ზვიადმა გროზნოში დამიბარა, სადაც სპიკერად ამირჩიეს. თანამებრძოლებთან ერთად უკომპრომისო ბრძოლას ვაგრძელებდით. მაშინ ბევრმა დათმო პოზიცია, დღეს ზოგიერთი მათგანი ოპოზიციაშია, არავის განვიკითხავ, მაგრამ ვიცი, ვინ ვინ არის და რისი გამკეთებელია. ახლახან მაშინდელი მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი შემხვდა და მითხრა, თქვენ მართლა ნაღდი პატრიოტები იყავითო. ველარ მოვითმინე და ვკითხე: ამისთვის გვიჭერდითო?

სამწუხაროდ, პოლიტიკოსების უმეტესობა სკამისთვის იბრძვის, მეც მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ არასდროს ნაცსულვარ კომპრომისზე.

— რა განსხვავებაა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შორის?

დამოუკიდებლობა არის წმინდა პოლიტიკური ხასიათის მოვლენა, თავისუფლება კი არ შეიძლება ზნეობრივად გარეშე, რომელსაც, გარკვეული თვალსაზრისით, უკომპრომისობა კვებავს... ილია ამბობდა, „თუ წუთისოფლის ერთი ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდიელი ლეკი ნაბად“. შეიძლება ეს ყოველთვის არ გამოდის, მაგრამ ამისთვის ბრძოლა საჭიროა.

— ამჟამად აღარ ხართ პოლიტიკაში აქტიურად ჩართული?

— ქუჩაში, რა თქმა უნდა, აღარ ვარ, მაგრამ ჩემი პოზიცია მაქვს, რომელიც არ შემიცვლია. როდესაც საჭიროდ მივიჩნევ, აზრსაც გამოვთქვამ. პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა ვწერ კიდევ. ჩემს წიგნში, „მარადის არის წიგნი“, ვცდილობ ავხსნა, როგორ მოკვდა ზვიადი. მკითხველი თუ კარგად ჩაუკვირდება, გაიგებს, რას ვგულისხმობ და რაში

პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის იუბილე თსუ-ში

16 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის საიუბილეო ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მონაწილე სტუმრები დაესწრნენ. თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაქემ თენგიზ კიკაჩიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ისაუბრეს. თსუ-ის რექტორმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის კიკაჩიშვილისადმი გამოგზავნილი მისალაოც

წერილი წაიკითხა. საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა თენგიზ კიკაჩიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „რელიგიათა თავსებადობა, როგორც ცივილიზებული ღირებულება კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში““.

თენგიზ კიკაჩიშვილი ასამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათგან ოთხი მონოგრაფიის და ოთხი კრებულის ავტორია. პროფესორი მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა. 2004 წლიდან თენგიზ კიკაჩიშვილი საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის ნამდვილი წევრია, მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ბიზნეს ოლიგქია და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამარ მარუაშვილი

14 აპრილს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადის მეორე ტური გაიმართა. ოლიმპიადის მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა 53-მა ჯგუფმა. თითოეული ჯგუფი 10 წევრისგან შედგებოდა და საერთო ჯამში სტუდენტთა რაოდენობამ 530-ს მიაღწია. კონკურსის პირველ ტურში შერჩეულ ჯგუფებს დაევალებათ თავიანთი არჩეული თემატიკის მიხედვით გაეკეთებინათ 10 წუთიანი პრეზენტაცია. შეირჩა 12 საუკეთესო ჯგუფი, რომლებიც ჩაერთვნენ უკვე აღნიშნული პროექტის მიმდინარეობაში.

„ბიზნეს ოლიმპიადის იდეა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ნიაღვრე დაიბადა. მეგობრების დახმარებით და გუნდური მუშაობის შედეგად შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც ინოვაციურია და თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. ორგანიზატორთა იტვირთა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბთან“ ერთად და „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდმა“.

მნიშვნელოვანი იყო პროექტისთვის თემატიკის შერჩევა, რაშიც დაგვეხმარა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორა. შეირჩა სტუდენტებისთვის საინტერესო და აქტუალური თემატიკა: განათლება; ტრანსპორტი; სოფლის მეურნეობა; ტურიზმი; ენერჯეტიკა; ინფრასტრუქტურა; დასაქმების პრობლემები საქართველოში; დემოგრაფია; მრეწველობა; ბიზნეს გარემოს ანალიზი; საფინანსო განვითარების ხარისხი; სოციალური პოლიტიკა; ფისკალური, მონეტარული და საგარეო საფაქტო პოლიტიკის ანალიზი; მედია მენეჯმენტი; სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ პროფესორ-მასწავლებელს, რომელიც ჩართულია პროექტის წარმატებით განხორციელებაში, – განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა გიორგი გაბრიელიძემ.

ბიზნეს ოლიმპიადის ოთხ ეტაპად მიმდინარეობს. მეორე ეტაპის მონაწილე ჯგუფებს დაევალებათ საკვლევი თემის გარშემო დარგის განვითარების ისტორიული და ტრადიციული წინაპირობების, მისი მონათესავე და ხელშემწყობი დარგების (სტრუქტურების) გამოკვლევა, სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება. დარგის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, პროდუქტზე საგადასახადო პოლიტიკის ზეგავლენის დადებითი და უარყოფითი ეფექტები და საექსპორტო მოთხოვნების სტანდარტების ანალიზი (გასაღების ბაზრების შესაბამისად).

ბიზნეს ოლიმპიადის მეორე ეტაპის მონაწილე ჯგუფებს დაევალებათ თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებისგან შემდგარი ჟიური: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე, სრული პროფესორი: ეთერ ხარაბიშვილი, სიმონ გელაშვილი, მია მარგველაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ეკა ლეკაშვილი. ეკა ლეკაშვილის განცხადებით, „სტუდენტები ასეთ პროექტებში მონაწილეობით დამოუკიდებლად და ჯგუფური პრინციპით მუშაობას ეჩვენებინათ, ეცნობიან სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებს, რომელიც შეიძ-

ლება შემდეგ კვლევის პროცესში გამოიყენონ. ამავდროულად ისინი მიღებული შედეგების შეჯამებასა და კორაგულაციას ახორციელებენ. ასეთი სახის ღონისძიებები სტუდენტს უფრო აქტიურსა და ცოდნაზე ორიენტირებულს ხდის“.

მეორე ტურში მონაწილეობდნენ ჯგუფები: Elit-Energy (კაპიტანი: ავთანდილ თოდუა – II კურსის სტუდენტი), მეცხრე ბლოკი (კაპიტანი: ბექა გურული – II კურსის სტუდენტი), FBI (კაპიტანი: თამარ სუთიძე – IV კურსის სტუდენტი), ობიექტივი (კაპიტანი: თინათინ ახვლედიანი – II კურსის სტუდენტი), JUST DO IT (კაპიტანი: მარიამ პატარაია – IV კურსის სტუდენტი), 21 გრამი (კაპიტანი: თამაზ ბანძავა – III კურსის სტუდენტი), მერანი (კაპიტანი: ოლიკო ვარდიშვილი – III კურსის სტუდენტი), ილუმინატორი (კაპიტანი: გიორგი დევიძე – III კურსის სტუდენტი), ღურე (კაპიტანი: ნიკოლოზ ფერიაშვილი – III კურსის სტუდენტი), Ceteris Pabibus (კაპიტანი: ნათია ფურცხვაინიძე – II კურსის სტუდენტი), VS უმუშეა (კაპიტანი: ირაკლი შონია – III კურსის სტუდენტი), Need for money (კაპიტანი: ლეილა ნელაური – III კურსის სტუდენტი).

ბიზნეს ოლიმპიადის მეორე ეტაპის მონაწილე ჯგუფებს დაევალებათ კრიტიკურობით ფასდებოდა: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, პრობლემის კვლევის (ანალიზის) სიღრმე, კვლევის შედეგები, ჯგუფის წევრების ჩართულობა კვლევასა და პრეზენტაციაში, შეკითხვებზე კომპეტენტური პასუხები და პრეზენტაციის ხელოვნება.

თითოეულ ჯგუფს პროექტის პრეზენტაციისთვის გამოეყო 15 წუთი, ამის შემდეგ მათ მხოლოდ ერთი კითხვის დასმის უფლება ჰქონდათ. ჯგუფების წევრებს შორის გაიმართა აქტიური დებატები, სადაც ნათლად გამოიკვეთა არჩეული თემის თეორიული ცოდნა.

გუნდმა „ობიექტივი“, რომელიც დაკომპლექტებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებით, წარმოადგინა პროექტი: „ბიზნეს გარემოს ანალიზი საქართველოში 2003-2009 წლებში“, რომლის მეცნიერ-ხელმძღვანელია ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დავით ნარმანია. გუნდი 2003-2009 წლებში მთავრობის მიერ ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გატარებული რეფორმების მიხედვით და მიღებული შედეგების ანალიზზე მუშაობს.

„საგადასახადო პოლიტიკის ობიექტური შეფასებისათვის ჩვენ ახალ ეკონომეტრიკულ მოდელზე ვინყებთ მუშაობას, რომელიც ოლიმპიადის მესამე ტურში წარმოვადგინებთ“, – აცხადებს გუნდის წევრი ბექა ლილუაშვილი.

გუნდის კაპიტნის თინათინ ახვლედიანის თქმით, საკვლევი თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, „ობიექტივს“ გამარჯვების რეალური შანსი აქვს: „ჩვენთვის რთული იყო შეგვეცნაველა საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო რეფორმების აქტიური მიმდინარეობის პროცესში, თუმცა მიზანმიმართული მუშაობის წყალობით „ობიექტივმა“ ეს სირთულე ნაწილობრივ უკვე გადალახა და მზად არის აქტიურად იბრძოდეს გამარჯვებისთვის“.

გუნდ „მერანის“ (კაპიტანი: ია ვარდიშვილი) წევრებმა წარმოადგინეს პროექტი: „განათლება, როგორც ინოვაციური ეკონომიკის ქვეყნობედი“ (თემის ხელმძღვანელი: თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე).

„ჩვენ კვლევის მიზნად დავისახეთ შექმნათ მოდელი, რომელიც ეკონომიკას გადაიყვანს მაღალორგანიზებულ სისტემა-

ზე, რაც საბოლოოდ ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

წორედ ამიტომ საკვლევი მიმართულებად ავირჩიეთ განათლება, როგორც ინოვაციური ეკონომიკის ქვეყნობედი. დღეს საქართველოს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის სივრცეში მოსახვედრად უახლეს ხედვას წარმოადგენს „ცოდნის სამკუთხედი“ კვლევა, განათლებასა და ბიზნეს შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბება, რაც მონიშნავს ქვეყნების განვითარების ძირითადი სტრატეგიაა“, – აღნიშნა ია ვარდიშვილმა.

„დღეს საქართველოში რთულია მსოფლიოში აპრობირებული უამრავი მაკროეკონომიკური მოდელის დანერგვა კონკრეტული პოლიტიკის მულტიპლიკატორთა მონაცემების გარეშე, შესაბამისად ჩვენს მიერ მიღებულ შედეგს შესაძლებელს ხდის ბევრად უფრო დახვეწილი და მაღალ დონეზე მყოფი თეორიების პრაქტიკაში განხორციელებას. დარწმუნებული ვართ, ჩვენი კვლევებით დავეხმარებით არა მარტო მომავალ კოლე-



გებსა და თანატოლებს, არამედ, ზოგადად, ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკას“, – ასეთი ხმაამაღალი განაცხადი გააკეთა გუნდ „eed for money“-ის კაპიტანმა ლეილა ნელაურმა.

უმუშევრობისა და დასაქმების აღრიცხვის მეთოდოლოგიის პრობლემებსა და უმუშევრობის გამოწვევებზე მიზეზზე საინტერესოდ ისაუბრეს გუნდ „VS უმუშეა“-ს წევრებმა (კაპიტანი: ირაკლი შონია). „ეს თემა საქართველოსთვის აქტუალურია. ოლიმპიადის შემდეგ დღიური კონკურენტები გვყავდა, აღნიშნულ თემატიკაზე სხვა გუნდებიც მუშაობდნენ, რომლებიც უკვე გამოეთქმნენ ოლიმპიადას, რაც უდავოდ ჩვენი შრომის დამსახურებაა“, – განაცხადა ირაკლი შონიამ.

ოლიმპიადის მეორე ტურში წარმოდგენილი სხვა სტუდენტური პროექტებიც არანაკლებ საინტერესო და აქტუალური იყო როგორც თემატიკით, ასევე კვლევის თვალსაზრისით. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე ხარაბაძემ მაღალი შეფასება მისცა თითოეული გუნდის მუშაობას და საზგასმით აღნიშნა, რომ აქ წარმოდგენილ ზოგიერთ პროექტს შეიძლება სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიკაციაც კი მიეცეს.

ბიზნეს ოლიმპიადის ორგანიზატორები და პროფესორ-მასწავლებლები თვლიან, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აღნიშნული პროექტი ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს და ყოველწლიურად გაიმართოს.

რემონტი ბიოლოგიის კორპუსში

თამარ მარუაშვილი

2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მთელი ინტენსივობით გაგრძელდა 2009 წელს და დღემდე არ შეჩერებულა. გარემონტდა და ახალი ინვენტარით აღიჭურვა აუდიტორიები, აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები. მოპირკეთდა შესასვლელი ფოიეები, დერეფნები, ფასადები, შეკეთდა სახურავები, კიბეები, ჩატარდა გამაგრებითი სამუშაოები.

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, სექტემბრის შემდეგ დაიწყო და, ძირითადად, წლის ბოლომდე დასრულდა X (მალივი) და XI (ბიოლოგიის) კორპუსებში სარემონტო სამუშაოები.

XI (ბიოლოგიის) კორპუსში გარემონტდა დაახლოებით 7500 მ² ფართი („ბლოკის II, V, VII სართული, მინაშენი), რის შედეგადაც მივიღეთ: 60 ახალი გარემონტებული სასწავლო აუდიტორია, მათ შორის: 37 სასწავლო აუდიტორია, 12 კომპიუტერული კლასი და ერთი რესურს ცენტრი; ასევე 38 სამუშაო ოთახი, (ძირითადად აკადემიური პერსონალისთვის და, ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის), რომელიც შესაბამისი ინვენტარით დაკომპლექტდა მიმდინარე წელს. გარემონტებული აუდიტორიები აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, მათ შორისაა: 220 კომპიუტერი, 30 სტაციონალური პროექტორი, 700-ზე მეტი სასწავლო მერხი და მაგიდა, 600-ზე მეტი სკამი, 50-მდე დაფა. კომპიუტერულ კლასებში, უსაფრთხოების მიზნით,

დამონტაჟდა სიგნალიზაცია და ვიდუო კამერები. უკვე შესაძლებელია ლექციების ტრანსლირებაც. აუდიტორიებში დამონტაჟდა გახმობანების აპარატურა. სტუდენტებს დერეფნებისა და აუდიტორიების ჩათვლით ყველგან შეუძლიათ ისარგებლონ უკაბელო ინტერნეტით.

შეკეთდა XI (ბიოლოგიები) კორპუსის დაზიანებული სახურავი იმ მონაკვეთებზე, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო რეაბილიტაციას.



„მიმდინარე წლის ახალ სასწავლო სემესტრს სტუდენტები შეხვდნენ ახლად გარემონტებულ გარემოში. XI კორპუსის აუდიტორიები აღიჭურვა ახალი მაგიდებით, მერხებით, სკამებითა და კომპიუტერული ტექნიკით. ამ ეტაპზე ვეღარ შე-

ვდებით ძველ და დაზიანებულ სასწავლო მერხსა თუ სხვადასხვა სახის სასწავლო ინვენტარს, რომელიც არსებობდა დიდი რაოდენობით.

კორპუსში დაიდგა როგორც საინფორმაციო, ასევე ცხრილებისათვის საჭირო ახალი თანამედროვე ტიპის სტენდები, საინფორმაციო ფირნიშები, აბრები, აუდიტორიები აღიჭურვა პროექტორებით, ფუნქციონირებას იწყებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი. ჩატარებულია ძალიან დიდი სამუ-

შაოები, რათა სტუდენტებს მაქსიმალურად ჰქონდეთ პირობები შექმნილი სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის“ – განაცხადა თსუ-ის მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩერქეზიშვილმა.

ეკონომისტიების ახალი გიგანტია

მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრის დასაწყისში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ფონდ „ქართუ“-ს მხარდაჭერით გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის X კორპუსის მეორე სართულზე გაერთიანდა და გარემონტდა რამდენიმე აუდიტორია, რომელიც აღიჭურვა ყველა საჭირო ახალი ინვენტარით (მაგიდები, სკამები, თაროები, ფარდები) და კომპიუტერული ტექნიკით. რაც მთავარია, ბიბლიოთეკა შეივსო თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურით

— როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი გამოცემებით. აღსანიშნავია ბიბლიოთეკის EBSCO ინტერნეტ-ბაზები ელექტრონული ჟურნალ-გაზეთებით. ბიბლიოთეკა გათვლილია 50-60 მკითხველზე. აქვე შესაძლებელია სხვადასხვა პრეზენტაციების, კონფერენციებისა თუ მნიშვნელოვანი შეხვედრების მოწყობა. სწორედ ახლახან ნარმატებით ჩატარდა ბიზნეს-ოლიმპიადი, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო.

„მიხარია, რომ სტუდენტებს გაგვიჩნდა საშუალება — აქვე გავეცნოთ საჭირო და ჩვენთვის ძვირადღირებულ ლიტერატურას, რაც სტუდენტებისთვის დიდი შედეგია. ასევე შეგვიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუზღუდავად გამოვიყენოთ ბიბლიოთეკის ინტერნეტ-საშუალებები. რომ არა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ ელენე ხარაბაძის დიდი მონაწილეობა, ასეთი ბიბლიოთეკა ჩვენ ალბათ კიდევ დიდხანს არ გვექნებოდა, რის-

თვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ მას,“ — აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა შოთა გუ რულმა. ეკონომისტების ახალი ბიბლიოთეკა, თავისი წიგნადი ფონდითა და თანამედროვე უახლესი ტექნიკური აღჭურვილობით, სავსებით შეესაბამება მოწინავე ევროპული უნივერსიტეტების სტანდარტებს და დიდად წაადგება როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებს თავიანთ საქმიანობაში.



პროფესორ გივი გამსახურდიას დაჯილდოება

23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ გივი გამსახურდიას დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ამ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის თითქმის უკვე ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში პროფესორმა გივი გამსახურდიამ საქარ-

განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფინანსების კათედრას. ბატონ გივის დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო როგორც თეორეტიკოსს, არამედ ასევე, როგორც პრაქტიკოს ეკონომისტს. უნივერსიტეტის გარდა იგი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ფინანსთა სამინისტროში, კონტროლის პალატაში, იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

გამსახურდიას მიმართ უდიდესი პატივისცემა, სითბო და სიყვარული სუფევდა. უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორი გივი გამსახურდიას, რომელიც უკვე არის ივანე ჯავახიშვილის მედიის მფლობელი, უნივერსიტეტის წინაშე მრავალი დამსახურებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სივლით და ფულადი პრემიით დააჯილდოვა.



შეხვედრა გახსნა ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირაკლი კოვზანაძემ. ბატონ გივი გამსახურდიას სამეცნიერო და პედაგოგიურ დამსახურებაზე ვრცლად ისაუბრა ეკონომიკის საფუძვლების კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა. მრავალწლიანი ერთობლივი თანამშრომლობის კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელოვანი დეტალები გაიხსენა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ამ საღამოს მთავარმა გამომამ, პროფესორმა გივი გამსახურდიამ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას ყურადღებისათვის, დაფასებისათვის, მისი შრომის აღიარებისთვის და მისი უსაზღვრო ტკივილის გაზიარებისთვის.

საზეიმო შეხვედრა ცრემლნარევი ვითარებაში მიმდინარეობდა იმ დიდი ტრაგედიის გამო, რომელიც ბატონ გივის, როგორც მამას, ამ ცოტა ხნის წინ შეემთხვა.

სამადლობელი სიტყვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა გამოვიდა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დარბაზში ბატონ გივი

შემაჯავებელი სიტყვით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა გამოვიდა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დარბაზში ბატონ გივი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე, ამ ბოლო პერიოდში, ამგვარი ღონისძიება უკვე მეორედ გაიმართა. დაახლოებით ორი თვის წინ მისი ღვაწლისა და დამსახურებისთვის პროფესორი რეზო კაკულია დაჯილდოვდა. ამით, ვფიქრობთ ძალიან კარგი და საჭირო ტრადიცია გრძელდება — ამგვარი, ღვაწლმოსილი მეცნიერებისა და პედაგოგების სათანადო დაფასება ყველა თაობის უნივერსიტეტელის საპატიო ვალია.

მიზნით, „მალღვივ კორპუსის“ ეკონომისტების ახალ ბიბლიოთეკაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი და სტუდენტთა დიდი ნაწილი შეიკრიბა.

თველოსთვის ფინანსისტთა მრავალი თაობა აღზარდა. იგი ეკონომიკის ფაკულტეტზე მუშაობდა როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ თანამდებობებზე. წლების

ურა გობიშვილი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

გახსენება

გივი მიქელაძის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის მფლობელი, საქართველოს ბიზნესისა და ტექნოლოგიური მეცნიერებების აკადემიების ნამდვილი წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი გივი მიქელაძე.

1974 წლიდან 2004 წლის ივლისამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობის, სერტიფიკაციისა და კომერციის კათედრის პროფესორი, კათედრის გამგე. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურად აწარმოებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1976 წელს კათედრასთან ჩამოაყალიბა დარგობრივი — ბიოტექნოლოგიის ლაბორატორია, რომელიც მუშაობდა კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებიდან ბიოტექნოლოგიური სინთეზით ცილოვანი, ფერმენტული, ვიტამინური პროდუქტების მიღებაზე.

ლოგიური მეთოდებით ადამიანისა და ცხოველთა საკვების მიღება“. ამ საკითხებზე მისი ხელმძღვანელობით გაიმართა 3 საერთაშორისო (ვენა, სოფია, თბილისი) და 4 საკავშირო კონფერენცია.



იგი დაიბადა 1927 წელს ქ. თბილისში. 1950 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

1977 წელს გივი მიქელაძე სტაჟირებით იმყოფებოდა ინგლისში, რედინგის უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული ჰქონდა 215 სამეცნიერო შრომა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 18 საკანდიდატო დისერტაცია, იყო 18 საავტორო და 3 პატენტის მფლობელი.

1950-1952 წლებში მუშაობდა ჩინეთში, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში.

1979 წელს მიწვეული იყო ავსტრიაში საერთაშორისო სისტემური ანალიზის ინსტიტუტში (IS) და 1984 წლამდე შეთავსებით ხელმძღვანელობდა თემას — „ბიოტექნო-

უნივერსიტეტში მუშაობასთან შეთავსებით 1998-2002 წლებში იყო ამერიკის საინვესტიციო ფორმის CNH-ის კონსულტანტი საქართველოში კვების პროდუქტების წარმოების დარგში.

1954-1960 წლებში იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი.

1979 წელს მიწვეული იყო ავსტრიაში საერთაშორისო სისტემური ანალიზის ინსტიტუტში (IS) და 1984 წლამდე შეთავსებით ხელმძღვანელობდა თემას — „ბიოტექნო-

ბატონი გივი გახლდათ მაღალკვალიფიციური მეცნიერი და პედაგოგი, გულისხმიერი ხელმძღვანელი, თანამშრომელი და მეგობარი. ასეთი ემასხოვრებათ იგი მის მრავალრიცხოვან სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მეგობრებს.

სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ვიზიტი თსუ-ში

საქართველოსა და სომხეთის განათლების სისტემებს შორის ურთიერთობათა გაფართოების მორიგი ეტაპი იწყება. ამის შესახებ განაცხადა სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა არმენ აშოტიანმა 17 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა. უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

მაია ტორაძე

სომხეთის დელეგაცია ვიზიტის ფარგლებში შეხვდა სომხურ სათვისტომოს, სომხურენოვან სტუდენტობას და სომხური სკოლების წარმომადგენლებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი საქართველოსა და სომხეთის სამეცნიერო წრეებს შორის ურთიერთობების გაფართოების კონკრეტული გზები დაისახა.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ გამოსვლაში აღნიშნა, რომ იგეგმება სომხეთის უნივერსიტეტებთან კონტაქტების გააქტიურება და თსუ-ის არმენოლოგიის მიმართულების კიდევ უფრო განვითარება.

ბა. „სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ სომეხი კოლეგები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან არმენოლოგიის მიმართულების განვითარებაში ისევე, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მიიღებენ მონაწილეობას ერევანში ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მუშაობაში“, - განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მანვე აღნიშნა, რომ სომეხი და ქართველი მეცნიერები ერთობლივად იმუშავებენ ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიის სახელმძღვანელოზე, მაისის ბოლოს კი გაიმართება ერევანის უნივერსიტეტთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის ინსტიტუციონალურ ურთიერთობებს ჩაუყარს საფუძველს.

„გვინდა, რომ უფრო მეტი წარმატებული სომეხი იყოს ქართულ მეცნიერებაში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში, რასაც ხელს შეუწყობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ინიციატივა – არაქართულენოვანი ახალგაზრდებისთვის ეროვნული გამოცდებზე შეიქმნას სპეციალური შეღავათიანი პროგრამა. დარწმუნებული ვარ, მათთვის ეს უმაღლესი განათლების მიღების და წარმატების მიღწევის საუკეთესო საშუალება იქნება“, - განაცხადა გიორგი ხუბუამ.

სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა არმენ აშოტიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიზიტი ხელს შეუწყობს ქართველ და სომეხ ხალხს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა გაღრმავებას.

„2008 წლიდან საქართველოსა და სომხეთის უნივერსიტეტებს შორის საგანმანათლებლო კუთხით ოფიციალური ურთიერთობები არ არსებობდა. ამიტომ დაგროვდა საკითხები, რომლის მოგვარებაც ადამიანური ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ეტაპიდან კონტაქტების გააქტიურება იწყება. ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ შევიშუშავებთ ერთობლივ პროექტებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამებისთვის, რაშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაგვეხმარება. ჩვენი მხრივ, უახლესი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფთ თსუ-ის არმენოლოგიის მიმართულებას“, - განაცხადა არმენ აშოტიანმა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეროვნულ გამოცდებზე სომხურენოვანი ახალგაზრდებისთვის განეული შეღავათები და მათი განათლების მაღალი დონე სასიკეთოდ წაადგება ქართულ-სომხურ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ნოდარ სურგულაძემ სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში დადებითად შეაფასა და განაცხადა, რომ შეხვედრებზე განიხილეს ყველა ის მტკიცებულები საკითხი, რაც გასული წლების განმავლობაში დაგროვდა. მან აღნიშნა, რომ ქართულმა და სომხურმა მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილებები გაუზიარეს და არაერთი საინტერესო პროექტი დაგეგმეს, რომლის განხორციელებაც უახლოეს პერიოდში დაიწყება.

„სასიამოვნოა, რომ ერევანში გაიხსნა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი, რომლის წარმატებით ამუშავებაში თავის წვლილს ქართველი პროფესორ-მასწავლებლები შეიტანენ, ხოლო სომეხი კოლეგები დახმარებას გაუწევენ საქართველოში არსებულ სომხურ საგანმანათლებლო კერებს. დარწმუნებული ვარ, ამგვარი კონტაქტები საქართველოსა და სომხეთს შორის საუკუნოვან ურთიერთობებს განამტკიცებს“, - განაცხადა მან.

შეხვედრის დასასრულს, გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სომხეთის დელეგაციის წევრებმა, თსუ-ის არმენოლოგიის კათედრის თანამშრომლებმა და უნივერსიტეტის სტუდენტებმა. დისკუსიაზე დაისვა საკითხები ქართველ და სომეხ მეცნიერთა შორის კონტაქტების, სომხურენოვანი სახელმძღვანელოებისა და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლის, ქართველ და სომეხ ბავშვთა და ახლოების, სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში სომხურენოვან პედაგოგთა გადამზადების შესახებ. აღნიშნა, რომ ერევანში სამეცნიერო ურთიერთობის ხელშეწყობისთვის შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც ამგვარ ურთიერთობებს კიდევ უფრო მყარს და მჭიდროს გახდის.



ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი

ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარის ფარგლებში 4 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ადრონული ფიზიკის საკითხებთან დაკავშირებულ ვორკშოფს უმასპინძლა. შეხვედრაზე გერმანელ პროფესორ ჰანს შტროფერს თსუ-ის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭა. ვორკშოფს გერმანიის იულიხის კვლევათა ცენტრის, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი 3 მაისს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გაიხსნა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში რიგით მეოთხე საერთაშორისო სემინარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით იმართება. სემინარში გერმანიის ქ. იულიხის კვლევათა ცენტრი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მონაწილეობს. მონაწილე მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაც გაფორმდა. მეორე ეტაპში მომავალში ერთობლივი პროექტების შემუშავებას შეუწყობს ხელს. იგეგმება ქართველი მეცნიერებისა და სტუდენტების მივლინება გერმანიის ქ. იულიხის კვლევათა ცენტრში, განხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომები. შეთანხმების მიხედვით მუშაობა დაიწყება ერთობლივ სადოქტორო პროგრამებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი გერმანიაში მარტის თვეში იმყოფებოდა, კოლეგებთან შეხვედრისას შემუშავდა ორი საერთო თანამშრომლობის არე, რომლის მიხედვითაც სამომავლოდ მემორანდუმის სხვა დანართებს მოეწოდება ხელი.

ადრონული ფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მეოთხე ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი თბილისში 7 მაისს ჩათვლით გაგრძელდება.

კადისის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა



29 აპრილს ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების შემუშავებას, რომელიც თბილისში ესპანური სკოლის დაარსებას, ხოლო კადისში კავკასიური სასწავლო ცენტრის შექმნას გულისხმობს.

ერთობლივ დოკუმენტს ხელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ და კადისის უნივერსიტეტის რექტორმა დიეგო სალესმა მოაწერეს. თანამშრომლობის ხელშეკრულება 2009 წლის სექტემბერში გაფორმებული მემორანდუმის გაგრძელებაა. ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის მიღწეული შეთანხმება მიზნად ისახავს ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომების მომზადებას და სტუდენტთა და პედაგოგთა ურთიერთგაცვლას. „კადისის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტებისათვის განკუთვნილი 100 სტიპენდიიდან გამოიყოფა თანხები, რომლითაც ათამდე ქართველი სტუდენტის სწავლება დაფინანსდება“, - აღნიშნა დიეგო სალესმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციის კადისში სტუმრობისას ასევე განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის სხვა პროგრამებიც. სახელმწიფო უნივერსიტეტში იგეგმება ესპანურენოვანი ცენტრის შექმნა და ესპანური ენის სკოლის დაარსება, სადაც ცოდნის გაღრმავება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ორივე ქვეყნის აკადემიური განათლების სისტემის გათვალისწინებით ცენტრში ყველა საგანი ესპანურ და ქართულ ენაზე ნაიკითხება.

თანამშრომლობის ფარგლებში კადისის უნივერსიტეტი უახლოეს მომავალში კავკასიური სასწავლო ცენტრს გახსნის. კადისის უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზღვაო მეცნიერებაში ბაკალავრისა და მაგისტრანტის ნოდების მინიჭებაზეც იმუშავებს. ორი უმაღლესი სასწავლებელი თანამშრომლობას ზღვის ფლორისა და ფაუნის ათვისებაში, ენერჯის ახალი წყაროების მოძიებასა და არქეოლოგიური სწავლების განვითარებაშიც გეგმავს.



ივანე ჯავახიშვილის იუბილე



23 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 134 წლის იუბილე აღნიშნა. უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში ივანე ჯავახიშვილის საფლავის გვირგვინით შემკობის ცერემონია გაიმართა.

თსუ-ს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის აღდგენასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. საპატიო წიგნით სამეცნიერო მიღწევებისთვის გამოჩენილ პროფესორებს 15 წლის შემდეგ ისევ გადასცემენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღდგენილი პრემიის პირველ ლაურეატს 2010 წლის შემოდგომაზე გამოავლენს.

„ივანე ჯავახიშვილმა ეროვნული სტილის უნივერსიტეტი დააარსა. სწო-

რედ ამ კედლებში აღზრდილმა საზოგადო მოღვაწეებმა შეინარჩუნეს და ჩვენამდე მოიტანეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა. პრემიის აღდგენით ჩვენ კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს დიდ ქართველ მოღვაწეს და ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნისთვის ყველაზე ღირსეულ კანდიდატებს შევარჩევთ, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

დამაარსებლის იუბილეს სახელმწიფო უნივერსიტეტის უზუცესი პროფესორებიც დაესწრნენ. „ივანე ჯავახიშვილი მეოცე საუკუნის უდიდესი მოღვაწეა. მან პირველმა დაიწყო ბრძოლა უნივერსიტეტის დაარსებისთვის და დღეს ჩვენ პირველი ქართული ცოდნის ტაძარი მისი წყალობით გვაქვს,“ — განაცხადა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ.

იუბილეს ფარგლებში და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიდევ რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა. უნივერსიტეტის II კორპუსის ფოიეში ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის და უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო. თსუ-ს ბიბლიოთეკამ კი იუბილეს პირველი ნაბეჭდი წიგნების გამოფენა მიუძღვნა. უნივერსიტეტში 1629 წლის პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი და ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი უნიკალური გამოცემები წარმოადგინეს. გამოფენაზე პირველად ქვათახევის მონასტრიდან, ბერ-მონაზონის ნიკონის პირადი ბიბლიოთეკიდან ორი ნიმუში იქნა გამოფენილი. იშვიათი ნიმუშის ენციკლოპედია და გეოგრაფიული აღწერა 1921-1923 წლებით თარიღდება.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და ტაოპრივატბანკს შორის

16 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტაოპრივატბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ-ს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ და ტაოპრივატბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ბოგდან ლესიუკმა მოაწერეს.

შეთანხმების მიხედვით, საქართველოში პირველად, თსუ-ის ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისთვის მოეწყობა ონლაინ ვიდეოკონფერენციები, რომელშიც უკრაინელი სტუდენტებიც ჩაერთვებიან. თანამშრომლობის ფარგლებში უკრაინელი და ქართველი სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ თემატურ ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებში; ტაოპრივატბან-

კის სპეციალისტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციებსაც წაიკითხავენ.

მემორანდუმის თანახმად თსუ-ს სტუდენტები ბანკის ფილიალებში პრაქტიკას გაივლიან და სწავლის პარალელურად დასაქმების პერსპექტივაც ექნებათ. საბანკო პროდუქტების რეალიზაციაში ჩართულ სტუდენტებს ტაოპრივატბანკი საჩუქრად უნივერსაღიურ საკრედიტო ბარათებს გადასცემს, სადაც მათ მიერ გამოშვებული ბონუსები დაირიცხება. წარმატებული სტაჟირი სტუდენტები ბანკის საკადრო რეზერვში ჩაირიცხებიან, საუკეთესო მათგანი კი ტაოპრივატბანკის ქსელში დასაქმდება.



უნივერსიტეტში იაპონიის ელჩის მიხედვით უმასკინძლეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში იაპონიის ელჩის მასაიოში კამოჰარას მიუღწევ ეწვია. ქალბატონ კამოჰარას უნივერსიტეტში რექტორის მიუღწევ ნატო კაკულიამ უმასპინძლა. დიპლომატის მიუღწევ თსუ-ში არსებულ იაპონური ენისა და კულტურის ცენტრს გაეცნო. შეხვედრას სტუდენტები, თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და იაპონური ენის სპეციალისტები დაესწრნენ. შეხვედრაზე მომავალი თანამშრომლობის გეგმებიც გა-

თსუ-ში იაპონური ენის მიმართულებით, როგორც მეორადი სპეციალობა, უკვე რამდენიმე წელია არსებობს. აქ სტუდენტები ენასთან ერთად იაპონიის კულტურას, ეკონომიკას, ისტორიას და რელიგიურ მიმდევრობებს სწავლობენ. წელს მარტში იაპონიის მთავრობის კულტურული გრანტის ფარგლებში იაპონური ენისა და კულტურის ცენტრიც გაიხსნა.

თანდათან მატულობს დაინტერესებულნი სტუდენტების რაოდენობაც. ცენტრში ყველანაირი პირობაა შექმნილი ენის სა-



ნახილეს. კერძოდ, ელჩის მიუღწევის განცხადებით, დაგეგმილია იაპონიიდან ლექტორების ჩამოყვანა, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სხვადასხვა მიმართულებების სპეცკურსებსა და ლექციებს წაიკითხავენ.

საქართველოში იაპონიის ელჩის მიუღწევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა პლაკატი — იაპონიის კულტურული ძეგლების გამოსახულებით და საკუთარი კოლექციიდან — იაპონიის ერთ-ერთი ქალღმერთის ამატერასუს თოჯინა.

„გვინდა, რაც შეიძლება მეტმა ქართველმა სტუდენტმა ისწავლოს იაპონური ენა, რაც იაპონიისა და საქართველოს დაახლოებას შეუწყობს ხელს,“ — აღნიშნა საქართველოში იაპონიის ელჩის მიუღწევ, ქალბატონმა კამოჰარამ.

ფუძვლიანად შესწავლისთვის. იაპონიის მხარემ თსუ-ში ტესტირებაც ჩაატარა, ორი საუკეთესო სტუდენტი შეარჩია და იაპონიის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლაც დაუფინანსა.

„იაპონიის საელჩოს დახმარებით სტუდენტებს სწავლისთვის საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი. კაბინეტში არსებობს საჭირო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, თანამედროვე აპარატურა. ვფიქრობ, რომ უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება ამ ენის შესწავლით. იაპონიის კულტურის, ტრადიციების, ისტორიის გაცნობა მათთვის არა მარტო საინტერესო, არამედ მომგებიანიც არის,“ — გვითხრა ნატო კაკულიამ.

გარდა ამისა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე იგეგმება ქალბატონ კამოჰარას ლექციები კომონოსა და ჩაის ტრადიციაზე იაპონიაში.

„საქპატენტთან“ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს — 26 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ღვალაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მოაწერეს ხელი.

თანამშრომლობის მიზანია უნივერსიტეტში კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი პროექტების განხორციელება. საქპატენტი უნივერსიტეტის წარმომადგენლებს კონსულტაციებს გაუწევს და ახალი გამოგონებებისთვის საექსპერტო დასკვნებს გასცემს. დასკვნის მიღების შემდეგ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის პროფესორების სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს საქპატენტი დააპატენტებს. იგეგმება უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თემატური სემინარების ჩატარება, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები კი საქპატენტო ექსპერტიზის თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს გაივლიან.


მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ირაკლი ღვალაძე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა. საუბრისას აღნიშნა, რომ ინტელექტუალური საკუთრება საქართვე-

ლოში არასაკმარისად არის დაცული. საქპატენტის გენერალური დირექტორის თქმით, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, უბრალოდ ინფორმაციის ნაკლებობის გამო მისი გამოყენება არასათანადოდ მიმდინარეობს. „არცერთი იდეა არ იკარგება, მას საერთაშორისო კონვენცია და კანონი იცავს. ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, ჩვენ ვცდილობთ უფრო ზუსტი და ვრცელი ინფორმაცია მივაწოდოთ ყველას, რათა მათ იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ და საკუთრების დაცვა უფრო გაუადვილდეთ,“ — აღნიშნა ირაკლი ღვალაძემ.

საქპატენტის ხელმძღვანელის განცხადებით, დღეისათვის პატენტის ფასი საქართველოში მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით მინიმალურია. ამასთან ერთად, საქართველოში მიღებული პატენტი ნებისმიერ ქვეყანაში ვრცელდება. ინტელექტუალური საკუთრების დამადასტურებელი საბუთის გაცემისას საერთაშორისო ქსელში ჩართული ქვეყანა ბაზების მიხედვით პატენტის არსებობას ამოწმებს და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს მოწმობას.

შეხვედრაზე აღნიშნა, რომ გამოგონებების დაპატენტებამდე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი იძიებს ანალიზს და ექსპერტიზას განხორციელებს, რაც საერთაშორისო სტანდარტებისთვის აუცილებელია. სამეცნიერო ნაშრომების დაცვისათვის კი, საქპატენტი პროფესორებს სთავაზობს დეპონირების მოწმობის აღებას, რომელშიც მითითებული იქნება თარიღი და ავტორის ვინაობა; დეპონირების მოწმობა საავტორო უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

■ ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ „ნასა“ კოსმოსის დაბინძურების ახალი რუკა გამოაქვეყნა. სურათი იმდენად საშინელი აღმოჩნდა, რომ სპეციალისტებმა საზოგადოების დაწყნარებლად ერთ-ერთ ხმაზე განაცხადეს, ყველაფერი არც ისე ცუდაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანსო. მეცნიერებმა ამ რუკის შესაქმნელად აშშ-ის კოსმოსური სერვისის დაზვერვის ქსელში დაცული მონაცემები გამოიყენეს. ყოველი წერტილი რუკაზე კოსმოსური ობიექტია, მისი დიამეტრი 10 სანტიმეტრს არ აღემატება, თუმცა პარამეტრები, რა თქმა უნდა, შეცვლილია. მთლიანობაში, ამ რუკაზე 19 ათასი მსგავსი ობიექტია წარმოდგენილი. სპეციალისტების აზრით, მდგომარეობა დღესდღეობით საგანგაშო არ არის, რადგან ყოველი ობიექტი გარკვეული ტრაექტორიით მოძრაობს, მისი გათვლა შეიძლება და შეჯახების საშიშროებაც ნაკლებია. თუმცა, იმასაც ამატებენ, რომ ასეთი ნაგავი ყოველ წელს იზრდება და ხომალდებს საშიშროებას უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტები უმეტეს შემთხვევაში მცირე ზომისაა, დიდი სისწრაფით მოძრავ ხომალდთან შეხლამ სერიოზული კატასტროფა შეიძლება გამოიწვიოს.



■ ამერიკელმა ფსიქოლოგებმა პარადოქსული აღმოჩენა გამოაქვეყნეს. მათი აზრით, ცუდი სიზმრები ადამიანის ემოციური მდგომარეობისთვის არამც თუ უზიფათო, საჭირო და სასარგებლოც ყოფილა. მკვლევართა აზრით, ცუდი სიზმრებს დღის მანძილზე დაგროვილი ჭარბი რაოდენობის უარყოფითი ემოციები იწვევს. მიმე, აუხსნელი სიზმარი ადამიანს საშუალებას აძლევს შიში და ნეგატიური შეგრძნებები ღამით, ძილში გადაიტანოს, დღისით კი მისგან განთავისუფლდეს. მეცნიერები აქვე აღნიშნავენ, რომ ეს თეორია მხოლოდ ცუდ სიზმრებს ეხება და არა კომპარებს, რომელიც დროსაც ადამიანი სიზმარსა და რეალობას შორის განსხვავებას ვეღარ აღიქვამს და ხიფათის შეგრძნებისგანაც ვეღარ თავისუფლდება. სპეციალისტების აზრით, ასეთ სიზმარს ადამიანთა 80% წელიწადში ერთხელ მაინც ხედავს.



■ ინდოეთში, პენჯაბის შტატის მთავრობამ და ზოოპარკების ცენტრალურმა სამმართველომ გადამწყვეტს ველური მაიმუნებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი ააშენეს. პენჯაბის შტატს სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები აწუხებს, ბუნებრივ პირობებში მონყვეტილი მაიმუნები საკვების საშოვნელად ქალაქებსა და სოფლებს შეესივნენ და დიდი უბედურებაც დაატრიალეს. ისინი ბავშვებს და უფროსებსაც კი თავს ესხმოდნენ, ანტენებსა და მოტოციკლეტებს ამსხვრევდნენ და თოკებს წყვეტდნენ. მათი მსხვერპლი ქალაქის მერიც კი აღმოჩნდა, რომელიც მაიმუნებთან ბრძოლის დროს აივნისგან გადმოვარდა და დაიღუპა. „გამოუსწორებელი“ მაიმუნებისთვის თავისებური „ციხე“ სწორედ მაშინ შეიქმნა. ამჯერად ამ ციხეს „სკოლად“ გადააკეთებენ, სადაც ამ „გამოუსწორებელ ბოროტმოქმედებს“ „სოციალური ჩვევებისა“ და „კარგი მანერების“ შესწავლა მოუწევთ.



■ ჩინელმა ფერმერმა ხის პროპელერიანი ვერტმფრენი ააგო. ამისთვის 20 წლის ვუ ჟონგუანს, რომელსაც მხოლოდ საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული, სულ 3 თვე დასჭირდა. ახალგაზრდა კონსტრუქტორმა განაცხადა, ისეთი მანქანის შესაქმნელად, რომელიც 800 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავს, ფიზიკის კურსი საშუალო სკოლის დონეზე სრულიად საკმარისიაო, თუმცა იქვე აღიარა, ზოგიერთი სპეციალიზირებული ინფორმაცია ინტერნეტში მოეძებნეო. ვერტმფრენს ხისგან გამოთლილი პროპელერი და ძველი მოტოციკლეტის ძრავი აქვს. მისი კორპუსი ფოლადის მილებითაა გამაგრებული. „ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ საკუთარი მფრინავი აპარატი მქონოდა და სკოლაში წასასვლელი გზა გამაღვივებინაო, აღნიშნა ახალგაზრდა კონსტრუქტორმა და იქვე დაამატა, ეს მანქანა სულ ორი ათასი დოლარი დამიჯდაო.



■ იაპონელი მეთევზეები თავზარდაცემულები შესცქერიან გიგანტური, შხამიანი მედუზა – ნამურების შემოსევას, რომელთა რაოდენობა, ბოლო წლების მანძილზე, რეკორდულად გაიზარდა. მედუზის ეს სახეობა, რომლის დიამეტრიც 2 მეტრია, წონა კი 220 კილოგრამი, იაპონიაში პირველად 2006 წელს გამოჩნდა და კატასტროფული სისწრაფით გამრავლდა. როგორც ხიროსიმას უნივერსიტეტის



პროფესორი შინიჩი იუ აღნიშნავს, „ქვეყანა მედუზების ტაიფუნმა წაუკა“. პროფესორის განცხადებით, ეს საშინელი ურჩხულები თევზებს წამლავენ, ადამიანებს სუსხავენ და ატომურ ელექტროსადგურებსაც კი უქმნიან საშიშროებას, რადგან რეაქტორების გამაგრებულ საქაჩებს ბლოკავენ. მისივე აზრით, ეს მიგრაცია გლობალური დათბობისა და მსოფლიო ოკეანის დაბინძურების შედეგია. ამ შემთხვევის გამო, თევზჭერის მრეწველობა იაპონიაში 80%-ით დაეცა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ეროვნულ ტრაგედიადა აღიქვამს. მიუხედავად ამისა, მეცნიერებმა მათგან გარკვეული სარგებლის მიღება მაინც შეძლეს. შემუშავდა მეთოდი, რომლის საშუალებითაც მედუზას სხეულიდან ნივთიერება კოლაგენს იღებენ, რაც კოსმეტიკურ ბიზნესში ფართოდ გამოიყენება.

■ იაპონელმა მეცნიერებმა სპეციალური სათვალე შექმნეს, რომელიც კომპიუტერთან მუშაობისას თვალებს გადელისგან დაცავს. ეს სათვალე ადამიანის თვალის ხამხამის სისშირეს აფიქსირებს და თუკი სისშირე ნორმაზე ქვე-




მოთ დაეცემა, ლინზას მაშინვე დაბინდავს. ეს თავის მხრივ, მეორე თვალის გააქტიურებას იწვევს და ამგვარად, ადამიანის შრომისუნარიანობა არ ეცემა. იაპონელ მენარმეთა განცხადებით, ასეთი სათვალე ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

■ კლასიკური მუსიკას, რომ სამკურნალო ძალა აქვს, კარგა ხანია ცნობილია და იგი უკვე უამრავ საავადმყოფოში სისტემატურად უღერს. იტალიელმა მეცნიერმა, დოქტორმა ლუჩანო ბერნარდიმ, თავის კოლეგებთან ერთად, ახალი



ექსპერიმენტი ჩაატარა. მეცნიერებმა 24 მოხალისეს სთხოვეს კლასიკური ნაწარმოებები მოესმინათ და ამ პერიოდში მათი ორგანიზმის რეაქციას დააკვირდნენ. უღერდა ნაწყვეტები ნაწარმოებებიდან: ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, არიები პუჩინის ოპერადან „ურადოტი“, ვერდის ოპერადან „ტრაჯიატა“ და ბახის 169 კანტატა. ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ ყოველი კრემჩენდო ორგანიზმს ალაგზნებდა, სისხლძარღვებს ავიწროვებდა და სუნთქვას ახშირებდა. დიამინუნდო კი პირიქით, ორგანიზმს ადუნებდა, გულის ფეთქვას ასუსტებდა და წნევას დაბლა წევდა. მეცნიერებმა მუსიკის სხვადასხვა კომბინაციები შეამოწმეს და დაადგინეს, რომ პუჩინის ოპერას „ტურანდოტი“ ცნობილი არაა ესსუნდორმა შესანიშნავი საშუალებაა ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციისთვის, ვერდის არიები კი, რომელსაც წინ მუდამ 10 წამიანი მუსიკალური შესავალი უძღვის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის რიტმებს მშვენივრად ეხამება.

■ ადამიანის სხეული, თურმე, ხილულ შუქს ასხივებს, ოღონდ ეს სინათლე იმდენად სუსტია, რომ მხოლოდ სიბნელეში შეიძლება შეამჩნიო. იაპონიის რამდენიმე უნივერსიტეტის მეცნიერები ამ საკითხით საფუძვლიანად დაინტერესდნენ. საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ შუქს ყველა ცოცხალი ორგანიზმი ასხივებს და მისი ინტენსიურო-



ბა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება. ამის მიზეზი ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესებია, ადამიანი კი მას ვერ ხედავს, რადგან თვალის მგრძობიანობა ამ შუქის ინტენსივობას დაახლოებით ათასჯერ ჩამორჩება. იაპონელმა მეცნიერებმა უჩვეულოდ მგრძობიანად დაჭერები გამოიგონეს, რომელსაც ცალკეული ფოტონების დაჭერაც კი შეუძლია და ამ კამერის საშუალებით, სიბნელეში, ხილული შუქი დაინახეს. ექსპერიმენტის დროს წელს ზემოთ შიშველი ხუთი მამაკაცი მთელი დღის მანძილზე რამდენჯერმე კამერის წინაშე 20 წუთით ჩერდებოდა. ამის შედეგად სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ხილული შუქი რამდენჯერმე შეიცვალა. ყველაზე სუსტი იგი დღის 10 საათზე იყო, მაქსიმუმს დღის 4 საათზე მიაღწია. მკვლევართა აზრით, ხილული შუქის ძალა ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ რიტმებსა და მეტაბოლურ პროცესებზე დამოკიდებულია. კიოტის უნივერსიტეტის პროფესორის შიტორი ოკამურას განცხადებით ასეთი კამერა ორგანიზმში ნივთიერების მიმოქცევის დარღვევის აღმოჩენას შეძლებს და მომავალში დიაგნოსტიკას ძალიან დაეხმარება.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაქია

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქა-	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	ნილი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშ-	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	სალომე მახარაძე	ვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხაღერი,	
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავთარაძე	მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე,	
		ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი,	
		ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	22 36 62